# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 24 ივლისი 2008 №169 (3393) ფასი 50 თეთრი

# ექტორ რაულ კუპერი ერთი ხელის გაწვდენაზე

საქართველოს ნაკრების მწვრთნელად არგენტინელი ,ექტორ რაულ კუპერის დანიშვნას წინ თითქმის აღარაფერი უდგას.

წუხანდელი, ოღონდ ჯერაც დაუდასტურებელი ცნობით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი უჩა უგულავა და ფიფას აგენტი აკა ტონია არგენტინელ მწვრთნელთან და მის მენეჯერთან შესახვედრად მოულოდნელად მადრიდში ჩავიდნენ და რამდენიმესაათიანი მოლაპარაკების შემდეგ, ფაქტობრივად, ყველაფერზე შეუთანხმდნენ.

ამ ინფორმაციის უტყუარობაზე თავს ვერ დავდებთ, რადგან ვერც უგულავასთან და ვერც ტონიასთან დაკავშირება გუშინ ვერაფრით მოვახერხეთ.

ეს კი გავიგეთ, რომ უგულავა და ტონია თბილისში ამაღამ აპირებენ დაბრუნებას და რამდენად სარწმუნოა საქართველოს ნაკრებში კუპერის დასაქმების თაობაზე ჩვენი ინფორმაცია, მათგან შევიტყობთ.

ქობა ინასარიძე




რევაზ შენგელია

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გუშინ სანაკრებო მატჩებზე აბონემენტების გაყიდვა დაიწყო. აბონემენტების მოქმედების ვადა მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის მთელ შესარჩევ ეტაპზე არის გათვლილი.

ეს ამბავი გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე ითქვა, რომელიც ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გოგი ქავთარაძემ და გენერალური სამდივნოს საერთო განყოფილების უფროსმა რევაზ შენგელიამ გამართეს. სხვათა შორის, რევაზ შენგელიამ ამ დღეებში ერთი კარგი საქმეც გააკეთა — ქართული ფეხბურთის ყოველწლიური წიგნის გამოცემა განაახლა, რომელიც მიზეზთა გამო, სამი სეზონი შეჩერებული იყო, თუმცა ახალ წიგნში ერთად იქნება თავმოყრილი ყველა ის ინფორმაცია რაც ამ პერიოდში დაგროვდა...

# ორშაბათი მწვრთნელის დღეა?
## ფედერაცია ირლანდიისთვის უკვე მზადაა

— რევაზ შენგელიას წიგნები ქართული ფეხბურთის ნამდვილი მემატიანეა, ფეხბურთის ქომაგთათვის ეს დიდი საჩუქარია. წიგნის გამოცემა აქამდე შეჩერებული იყო, თუმცა რევაზ შენგელიას ყველაფერი შენახული ჰქონდა. ახალი წიგნი ფეხბურთის ფედერაციის მხარდაჭერით გამოვიდა — თქვა დასაწყისში გოგი ქავთარაძემ და შემდეგ ეს ამბებიც მოაყოლა...

— ფედერაციის 28 ივლისის აღმასკომის სხდომაზე საქართველოს ნაკრების მწვრთნელის დანიშვნას ვაპირებთ და, ვფიქრობ, ორი კანდიდატურის განხილვა მოგვიწევს — აღმასკომი ალბათ ფოლკერ ფინკესა და პეტარ სეგრტს შორის გააკეთებს არჩევანს. ჩვენ აღმასკომის წევრებს სრულ თავისუფლებას ვაძლევთ და როგორც ისინი გადაწყვეტენ, საქმეც ისე იქნება. მართალია, არგენტინელ მწვრთნელებთან, ექტორ რაულ კუპერთან და ხოსე პეკერმანთან მოლაპარაკებებს დღემდე ვაგრძელებთ, მაგრამ არა მგონია, 28 ივლისამდე მათთან საბოლოო შეთანხმება მოესწროს.

— ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამით, გაისიდან ეროვნული ჩემპიონატის დონის ასამაღლებლად და მეტი პოპულარიზაციისთვის ყოველწლიურად 2 მილიონ ლარს მივიღებთ. ამავე პროგრამით ზესტაფონის, ბოლნისის, ახალციხისა და თბილისის „მიხეილ მესხის" სტადიონები თვენახევარში კერძო მესაკუთრეთა ხელში გადავა. ხოლო სექტემბრიდან სტადიონების მშენებლობაზე ტენდერიც გამოცხადდება.

*ქავთარაძის შემდეგ კი თავად რევაზ შენგელიამ უკვე აბონემენტების თაობაზე გვითხრა:*

— ოფიციალურ თუ ამხანაგურ სანაკრებო მატჩებზე აბონემენტების გაყიდვა დღეიდან დავიწყეთ და რაც მეტი გაიყიდება, მით უკეთესი. აქ მხოლოდ ფინანსური ინტერესი არ არის, ბევრი აბონემენტის გაყიდვა ბევრ გარანტირებულ მაყურებელს ნიშნავს. სავსე სტადიონის მნიშვნელობა კი ყველამ კარგად იცის. აბონემენტებთან ერთად ქომაგთ ნაირნაირი სიურპრიზებიც ელით. სამი კატეგორიის აბონემენტები დავბეჭდეთ. მესამე კატეგორიის აბონემენტი 25 ლარი ღირს და მის მფლობელს ადგილი მე-13 სექტორში ექნება. აბონემენტთან ერთად ქომაგი ეროვნული გუნდის შარფსაც მიიღებს. მეორე კატეგორიის ღირებულება, თავის შარფიანად 50 ლარია, ამ აბონემენტის მფლობელი დასავლეთ ტრიბუნაზე დაჯდება. პირველი კატეგორიის აბონემენტის მყიდველს კი ეროვნული გუნდის მაისურის ნახევარ ფასში შეძენა შეეძლება და მისი სკამი მე-9 სექტორში იქნება. ამ აბონემენტის ღირებულება 150 ლარია.

— უკვე დავადგინეთ საქართველო — ირლანდიის ოფიციალური მატჩის ბილეთების ფასიც — 20, 50 და 70 ლარი. გავითვალისწინეთ ქომაგის ინტერესი და შესაძლებლობა და ამ ღირებულების ბილეთების გარდა 25 ათას 5-ლარიან ბილეთსაც დავბეჭდავთ. 70-ლარიანი ბილეთები კი სტუმრებზეა გათვალისწინებული. ირლანდიიდან უკვე გვაცნობებს, რომ თბილისში 4 ათასი ქომაგი ჩამოვა, თუმცა ეს რაოდენობა ალბათ კიდევ გაიზრდება და ჯამში 5-6 ათასი ირლანდიელი გვესტუმრება.

**კობა ინასარიძე**

# სეგრტმა უდინე ნახა

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორი და ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი პეტარ სეგრტი, ეროვნული ნაკრების მენეჯერ თამაზ ბოკერიასთან ერთად უდინეში იმყოფებოდა, სადაც 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს გამართავს საქართველოს ნაკრები.

მატჩი 10 სექტემბერს უდინეში, „ფრიულის" სტადიონზე გაიმართება და სეგრტმა სწორედ ეს სტადიონი მოინახულა, აგრეთვე შეარჩია სასტუმრო და სავარჯიშო მოედანი.

ნაკრები სასტუმრო BEST WESTERN HOTEL LA DI MORETI-ში დაბანაკდება, სავარჯიშო მოედანი კი სასტუმროდან 5 კილომეტრშია, სადაც მეოთხე ლიგის გუნდი თამაშობს.



**მიხეილ ჟორჟოლიანი**

გაყიდვაშია საქართველოს ეროვნული ნაკრების 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ხუთი საშინაო მატჩის აბონემენტები.

დამზადებულია სამი სახის აბონემენტი — 150-ლარიანი (დასავლეთ ტრიბუნა, II იარუსი, მე-9 სექტორი) დასავლეთ ტრიბუნა, II იარუსი, მე-11 სექტორი) და 25-ლარიანი (ჩრდილოეთ ტრიბუნა, II იარუსი, მე-13 სექტორი).

25 და 50-ლარიანი აბონემენტების მფლობელებს საჩუქრად გადაეცემათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ლოგოთი დამშვენებული შარფები, ხოლო 150-ლარიანი აბონემენტების მფლობელებს მნიშვნელოვანი ფასდაკლებით — 50 ლარად, შეუძლიათ, შეიძინონ საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისური.

აბონემენტების შეძენა შეგიძლიათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში.

# პიუნიკის შანსი წიტაიშვილმა მოკლა

**თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისმა" საშინაო 1:0-ის შემდეგ სომხეთში 2:0 მოუგო „პიუნიკს" და ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გავიდა, სადაც მეტოქედ თბილისის „დინამოსთვის" ავადმოსაგონარი ვენის „რაპიდი" ეყოლება.

„ანორთოსისის" ორი გოლიდან პირველი კი კლიმენტი წიტაიშვილმა გაიტანა 29-ე წუთზე.

**ილია ნანობაშვილი**

## ჩემპიონთა ლიგა 2008-2009
### პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

პიუნიკი (სომხეთი) 0:2 ანორთოსისი (კვიპროსი) (0:1)
0:1 წიტაიშვილი (29), 0:2 ფრუსოსი (86)

ლევადია (ესტონეთი) 0:1 დროჰედა (ირლანდია) (1:2)
0:1 გარტლანდი (47)

ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია) 1:1 ტამპერე (ფინეთი) (1:2)
0:1 მუნტი (8), 1:1 ბეჩირაი (81)

მოდრიცა (ბოსნია) 2:1 დინამო (ალბანეთი) (2:0)
0:1 შაფაი (73), 1:1 ზაფიროვიჩი (89), 2:1 ბოჯიჩი (90)

გიოტებორგი (შვედეთი) 4:0 მურატა (სან მარინო) (5:0)
1:0 ა. იოჰანსონი (15), 2:0 ბარკროტი (52), 3:0 კარისიკი (71), 4:0 ბარკროტი (74)

არტმედია (სლოვაკეთი) 1:0 ვალეტა (მალტა) (2:0)
1:0 ფარკაში (32)

დინამო (ხორვატია) 1:1 ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) (2:0)
1:0 მანძუკიჩი (3), 1:1 გოლტი (54)

დომჟალე (სლოვენია) 2:0 დუდელანჟი (ლუქსემბურგი) (1:0)
1:0, 2:0 ზინკო (65, 84)

ვალიური (ისლანდია) 0:1 ბატე (ბელარუსი) (0:2)
0:1 სტასევიჩი (1)

### II საკვალიფიკაციო ეტაპი

პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — დინამო (საქართველო)
რეინჯერსი (შოტლანდია) — კაუნასი (ლიტვა)
ბრანი (ნორვეგია) — ვენტსპილსი (ლატვია)
ინტერი (აზერბაიჯანი) — პარტიზანი (სერბეთი)
ტამპერე (ფინეთი) — არტმედია (სლოვაკეთი)
ანორთოსისი (კვიპროსი) — რაპიდი (ავსტრია)
დომჟალე (სლოვენია) — დინამო (ხორვატია)
გიოტებორგი (შვედეთი) — ბაზელი (შვეიცარია)
შერიფი (მოლდოვა) — სპარტა (ჩეხეთი)
დროჰედა (ირლანდია) — დინამო (უკრაინა)
ანდერლეხტი (ბელგია) — ბატე (ბელარუსი)
ბეითარი (ისრაელი) — ვისლა (პოლონეთი)
ფენერბაჰჩე (თურქეთი) — მტკ (უნგრეთი)
ოლბორგი (დანია) — მოდრიცა (ბოსნია)

პირველი მატჩები გაიმართება 29-30 ივლისს, საპასუხოები — 5-6 აგვისტოს

## ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი
### ნახევარფინალი

იტალია 1:0 უნგრეთი
გერმანია 2:1დ.დ. (1:1) ჩეხეთი

### გერმანია
სუპერთასი
დორტმუნდი 2:1 ბაიერნი

### დანია
სუპერლიგა. I ტური
ვაილე 1:3 ოდენსე

### ნორვეგია
ტიპელიგა
გადადებული მატჩი
ვიკინგი 0:1 რუსენბორგი
თასის მერვედფინალი
მიოლდე 8:0 ბრანი

### შვედეთი
ალსვენსკა. XV ტური
ელფსბორგი 3:0 ნორჩიოპინგი

### შვეიცარია
სუპერლიგა. II ტური
ბაზელი 1:0 გრასჰოპერი
ბელინცონა 1:2 ქსამაქსი
ციურიხი 1:0 ლუცერნი

### ავსტრია
ბუნდესლიგა
გადადებული მატჩი
შტურმი 3:0 მატერსბურგი

### რუსეთი
პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
სატურნი 4:0 შინიკი
ზენიტი 1:1 ლოკომოტივი

### ფინეთი
ვეიკაუსლიგა. XIII ტური
ტურკუ 6:1 ვაასა

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| პრჟიბრამი 4:2 პლზენი | მარსელი 3:1 მონაკო |
| გუანგჯუ 0:4 ჩელსი | ნიცა 2:1 გრენობლი |
| გლადბახი 3:1 ჰერენვენი | სპარტა 0:2 რენი |
| ბოჰემიანსი 1:0 ჟიჟკოვი | სტრასბური 4:1 ფრაიბურგი |
| კაენი 1:1 ლე მანი | ბეერსხოტი 0:3 ბრიუგე |
| ლორიანი 1:1 ლე ავრი | პარტიზანი 1:3 ლიონი |
| ვალანსიენი 4:1 სერკლი | რუზომბეროკი 0:4 პსჟ |
| ვოლფსბურგი 2:1 ზალცბურგი (მ) | ბრონდბიუ 1:2 იუვენტუსი |
| გენტი 0:0 გალათასარაი | ფენერბაჰჩე 2:1 შახტარი |
| ოსერი 1:1 ტუარი | ანდერლეხტი 2:1 როდა |
| ლევერკუზენი 0:1 ალემანია | ჩელტენემი 1:1 ვესტ ბრომვიჩი |
| ბოხუმი 0:0 ოფი | ოსნაბრუკი 2:1 ლოკომოტივი (ს) |
| ბორდო 0:0 ტულუზი | სენტ ჯონსტონი 1:3 ბარნლი |
| გრონინგენი 0:2 ოლიმპიაკოსი | ტელფორდი 1:4 ნოტინგემი |
| სიტარდი 1:2 სენტ ტრუიდენი | სეტუბალი 1:1 სანდერლენდი |



თბილისის „დინამოს" კარში ერთადერთი გოლის გამტანი ჰალგრიმ ელტორი

# ფარერული სეანსი

0:1 — ასეთი შედეგი ჩამოიტანა თბილისის „დინამომ" ფარერის კუნძულებიდან და ვინ იტყვის, რომ „მერე რა მოხდა"?

დიახაც, მოხდა!

„დინამომ" კიდევ ერთი სამარცხვინო ფურცელი შემატა ქართული ფეხბურთის სქელტანიან შავ წიგნს.

ახლა არ ღირს იმაზე ლაპარაკი, რატომ დაემართა ასეთი ამბავი საქართველოს ჩემპიონს. რა მიზეზიც არ უნდა ყოფილიყო, „დინამო" ფარერულ „NSI რუნავიკთან" არ უნდა აგებდეს და ამას წყალი არ გაუვა! და თუ „დინამოს" რომელიმე წარმომადგენელი იტყვის, რომ ეს ასე არ არის, მით უარესი!

რა გზაზე არ მდგარა საცოდავი ქართული ფეხბურთი, რა არ გამოუვლია, მაგრამ ის, რაც ბოლო წლებში ჭაობის მცენარეებივით მოგვიმრავლდა, უკვე აუტანელია. ეს არ არის მხოლოდ უფულობის და გაჭირვების ბრალი. ვერავინ დაგვარწმუნებს, რომ ფარერებს საქართველოსაზე უკეთესი ჩემპიონატი აქვს; რომ ფარერულ კლუბებს ქართულ კლუბებზე უკეთესი ინფრასტრუქტურა გააჩნიათ; რომ ფარერელ ფეხბურთელებს ქართველებზე დალხენილი ცხოვრება აქვთ; რომ ფარერელებს უფრო სტკივათ ფეხბურთი, ვიდრე ქართველებს...

არ გვინდა დავიჯეროთ, მაგრამ აქა-იქ ბნელი აზრებიც გამოითქვა — თითქოს „დინამომ" ტოტალიზატორზე ითამაშა.

კიდევ ერთხელ ვამბობთ, რომ ამის დაჯერება არ გვინდა და არც გვჯერა, მაგრამ...

იმედია, კლუბი შესაბამის პასუხს გასცემს ასეთი ხმების გამავრცელებლებს, მაგრამ რას მოუხერხებს კლუბი იმ სირცხვილს, რაც ქალაქ ტორსჰავნის ხელოვნურსაფარიან „გუნდადალურზე" შეემთხვა?! ალბათ, ბევრსაც ვერაფერს...

სარბიელელები

**უეფას თასი 2003-04**

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

ლინი (ნორვეგია) 6:0 NSI რუნავიკი

NSI რუნავიკი 1:3 ლინი

**ინტერტოტოს თასი 2004**

პირველი ეტაპი

ესბიერგი (დანია) 3:1 NSI რუნავიკი

NSI რუნავიკი 0:4 ესბიერგი

**უეფას თასი 2005-06**

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

NSI რუნავიკი 0:3 მეტალურგსი (ლატვია)

მეტალურგსი 3:0 NSI რუნავიკი

**ჩემპიონთა ლიგა 2008-09**

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

დინამო (საქართველო) 3:0 NSI რუნავიკი

NSI რუნავიკი 1:0 დინამო

სულ: 8 მატჩი, 1 მოგება, 0 ფრე, 7 წაგება, ბურთები 3:25




**ფარერული „რუნავიკის" ფან-კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე ჩატარებული გამოკითხვის შედეგები**

| ვინ მოიგებს ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში? | |
|---|---|
| NSI რუნავიკი | 50% |
| დინამო | 38% |
| ფრე | 12% |

*გამოიკითხა 255 გულშემატკივარი*

| გავა თუ არა „რუნავიკი" ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე? | |
|---|---|
| დიახ | 54% |
| არა | 22% |
| არ ვიცი | 14% |
| მოიგებს, მაგრამ ვერ გავა | 10% |

*გამოიკითხა 266 გულშემატკივარი*

თბილისის „ლოკომოტივი“ ურეკში თერთმეტი დღე იყო და უკვე დედაქალაქში დაბრუნდა. ერთი დღით გიორგი კიკნაძემ შეგირდები დაასვენა და გუშინ ვარჯიშიც განაახლეს.
კიკნაძეს თავიდან ურეკულ შეკრებაზე ვკითხეთ...

# ეტცელა უკვე დავიწყებულია

## ცქიტიშვილიც და, მორჩა!



— შეკრებამ ნორმალურად ჩაიარა. რაც დაგეგმილი გვქონდა, ყველაფერი გავაკეთეთ.

— სამი ტესტ-მატჩიც გამართეთ...

— ფოთის „კოლხეთს“, საჩხერის „ჩიხურას“ და ბოლნისის „სიონს“ გავეჯიბრეთ. მთლიანობაში მატჩებით კმაყოფილი დავრჩი.

— ურეკში რამდენიმე ახალი ფეხბურთელი შემოგიერთდათ...

— დიახ, გიორგი ჭელიძე და გიორგი კახელიშვილი ამ სეზონში ჩვენთან იქნებიან. გუნდს დაუბრუნდა ზვიად ჩხეტიანი, „მერანიდან“ ლევან გრიგალაშვილი დავიმატეთ.

— კიდევ ხომ არ გეგმავთ ფეხბურთელების შემატებას?

— აქტიური მოლაპარაკება მიმდინარეობს ლევან ცქიტიშვილთან და ვნახოთ. ისე, ფაქტობრივად, დაკომპლექტებულნი ვართ.

— მცირე ტრავმები მიიღეს რატი ალექსიძემ, ირაკლი ჩირიკაშვილმა და ირაკლი სამხარაძემ...

— მათ უმნიშვნელო ტრავმები ჰქონდათ და მალე შემოგვიერთდებიან.

— უახლოეს მომავალში რა გეგმები გაქვთ?

— 25 ივლისს საგურამოში „გაგრას“ გავეჯიბრებით ამხანაგურად, 1 აგვისტოს კი უკვე თასის თამაში გველის „დუშეთთან“.

— საკმაოდ არასასიამოვნო გასახსენებელია, თუმც არ შეგვიძლია, არ გკითხოთ. ლუქსემბურგული „ეტცელას“ ერთ-ერთმა ფეხბურთელმა რუს ჟურნალისტებს უთხრა, ქართული „ლოკომოტივი“ რამენსკოეს „სატურნს“ რომ შეხვედროდა, 0:10 მაინც წააგებდაო. ამაზე რას იტყვით?

— სიმართლე გითხრათ, ამაზე აღარც ვფიქრობ. „ეტცელა“ უკვე წარსულია. ჩვენ კი თავდაუზოგავად ვშრომობთ, რათა წარუმატებლობა აღარ განმეორდეს.

— თბილისის „დინამოს“ ფარერულ „რუნავიკთან“ გუშინდელ მარცხს როგორ ახსნით?

— პირველი მატჩის შედეგიდან გამომდინარე, ალბათ დინამოელები უკვე „პანათინაიკოსთან“ მატჩზე იყვნენ გადართულნი და მარცხიც ამის ბრალი მგონია.

**ნუკრი ლოლაძე**

# პანა და ბრაზილიელი



**ჩემპიონთა** ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამოს“ მეტოქემ, ბერძნულმა „პანათინაიკოსმა“ კიდევ უფრო გაძლიერება გადაწყვიტა და ბრაზილიელი მცველი გაბრიელი შეიძინა.

გაბრიელი საკმაოდ გამოცდილი ფეხბურთელია და წლეულს „კოპა ლიბერტადორესის“ ფინალშიც ითამაშა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სალიგო ქართველობა

**ჩემპიონთა** ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამო“ თავს რომ იჭრიდა ფარერებზე, ქართველ ლეგიონერთა გუნდები მშვიდად იგებდნენ. მართალია, გოლით არავინ გამორჩეულა, მაგრამ არც საკუთარი გულშემატკივრები გაუწბილებიათ.

ზურაბ მენთეშაშვილის „ვენტსპილსმა“ შინ 4:0 მოუგო უელსურ „ლანელს“. ასეთივე ანგარიშით მოუგო ვაჟა თარხნიშვილის „შერიფმა“ ყაზახურ „აქტობეს“, ნუკრი მანჩხავასა და აკაკი ხუბუტიას „კაუნასმა“ კი — 3:1 ანდორულ „სანტა კოლომას“. ხუბუტიას არ უთამაშია, დანარჩენმა ქართველებმა კი სრულად ჩაამთავრეს მატჩები.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# შალამბერიძეც წავიდა...



**კიდევ** ერთმა ფეხბურთელმა დატოვა „ამერი“ — 23 წლის ფლანგელი ნახევარმცველი კობა შალამბერიძე ცხინვალის „სპარტაკში“ გადავიდა.

— „ამერის“ ხელმძღვანელობას, მწვრთნელებს და ფეხბურთელებს მადლობას ვუხდი ყველაფრისთვის. ამ ეტაპზე ჩემთვის უმაღლეს ლიგაში თამაში მნიშვნელოვანია და ეს გადაწყვეტილებაც ამიტომ მივიღე — გვითხრა გუშინ შალამბერიძემ, ვინც „ამერის“ დატოვება სწორედ ამ გუნდის პირველ ლიგაში ჩასვლის გამო მიიღო.

გუშინვე ამერელებმა მორიგი ამხანაგური მატჩი გამართეს თანაქალაქელ „დინამო 2“-თან.

შეხვედრა 2:2 დასრულდა.

„დინამო 2“ თავიდან 2:0 იგებდა, თუმცა გიორგი ჩიხრაძის შეგირდებმა ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

*„ამერი“: ლ. ნადირაშვილი, თ. სანიკიძე, ხატიაშვილი, გვაძაბია, ელბაქიძე, ბენდელიანი, ცხოვრებაშვილი, სიჭინავა, ხელაძე, კბილცეცხლაშვილი, ჩიმაკაძე.*

*შეცვლაზე შევიდნენ: ა. ჩოხელი, გ. ჯელაძე, ბოჯგუა, გრძელიძე, კუჭუხიძე.*

*„დინამო 2“: კუპატაძე, მინდორაშვილი, ჩადუნელი, კაჭკაჭიშვილი, ვ. ბოლქვაძე, ქავთარაძე, ოთარაშვილი, ზ. ლობჟანიძე, სიხარულიძე, ჯუსი, მამრაში.*

*შეცვლაზე შევიდნენ: კოპაძე, მაჭუჩიშვილი, შ. გრიგალაშვილი, ქეჟელია, ჩიკვაიძე, მდინარაძე, ცერცვაძე*

**ლუკა თალაკვაძე**

# ზაურ სვანაძე: რუმინეთთან საქმეში ყველა უნდა ვნახო



ორი დღეა, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ტექნიკურ ცენტრ ბაზაზე შეიკრიბა და რუმინელ თანატოლებთან მატჩისთვის ემზადება. რუმინელებს ჩვენები ორჯერ გაეჯიბრებიან — დღეს „ამერის“ სტადიონზე და 26-ში გორში, „თენგიზ ბურჯანაძეზე“. ზაურ სვანაძემ ის გუნდი შეკრიბა, რომლებიც 2009 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ითამაშებს ჩეხ, დანიელ და კვიპროსელ თანატოლებთან...

— სულ ორი-სამი დღის შეკრებილები ვართ, თანაც პირველად, ამიტომ რუმინელებთან მატჩში შედეგი კი არა, უფრო ხარისხი გვაინტერესებს, თუმცა არ იფიქროთ, რომ მოსაგებად არ გავალთ. პირიქით, მოგებულის ფსიქოლოგიის ჩამოყალიბება კარგი იქნება.

— ეს პირველი მოსამზადებელი ეტაპია შესარჩევი ტურნირის წინ?

— დიახ. შესარჩევი ტურნირი ნოემბერში გაიმართება, ახლა პირველად შევიკრიბეთ, ამიტომ შეკრებებს კიდევ გავივლით, რათა მომზადებულნი შევხვდეთ შესარჩევ ტურნირს.

— სია საკმაოდ ვრცელია, ალბათ მატჩებამდე კორექტივებს შეიტანთ...

— სიაში 24 ფეხბურთელია, ხვალინდელ განაცხადში 18 მეყოლება, მაგრამ ალბათ გორში შემადგენლობას ისევ შევცვლით, საქმეში ყველას ნახვა მაინტერესებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

*მეკარეები: გიორგი მაკარიძე („დინამო“), გიორგი ლოსაბერიძე („დინამო“), ბუთა კოტრიკაძე („გაგრა“);*

*მცველები: გიორგი გეთიაშვილი („დინამო“), ლევან კაკუბავა („დინამო“), გიორგი სარაჯიშვილი („ოლიმპი“), ცოტნე ბუკია („ზესტაფონი“), ილია სორდია („ვიტ ჯორჯია“), გიორგი გურაბანიძე („ნორჩი დინამოელი“), ბადრი ტეტუნაშვილი („გაგრა“), ლევან ტყებუჩავა („მეშაქრე“);*

*ნახევარმცველები: ირაკლი კანდელაკი („დინამო“), ვაჟა ნემსაძე („დინამო“), ნიკოლოზ ჯიშკარიანი („დინამო“), გიორგი სალარიძე („ორბები“), თემურ შონია („ოლიმპიკი“), ლაშა საცერაძე („ზესტაფონი“), ლევან სეთურიძე („გაგრა“), თორნიკე თარხნიშვილი ("სპარტაკი"), ირაკლი ხუციძე („ამერი“), ირაკლი კვეკვესკირი („დინამო 2“, რუსეთი);*

*თავდამსხმელები: ზვიად ქანთარია („დინამო“), გიორგი იჩქითი („დილა“), ერეკლე ფილია („გაგრა“), მიხეილ ხოკერაშვილი („გაგრა“), მიხეილ როსტიაშვილი („ვიტ ჯორჯია“).*

# გრიგალა სად არის და. დინამო 2-ში

**ფეხბურთელი,** რომელიც შარშან საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ხვდებოდა, დღესდღეობით თბილისის „დინამო 2“-ში ვარჯიშობს.

მეკარე გიორგი მაკარიძეზე ადრეც ვწერდით, ამჯერად ლაპარაკი გვაქვს ნახევარმცველ შოთა გრიგალაშვილზე.

ვერა და ვერ აეწყო ამ ფეხბურთელს კარიერა, თბილისის „დინამოს“ ძირითად გუნდში ვერ ხვდება და ბოლო დროს სულ „ბორჯომში“ ანათხოვრებდნენ, სადაც პერიოდულად ძალიან მაგრად თამაშობდა, განსაკუთრებით კი გასული ჩემპიონატის პირველ წრეში.

ზამთარს აქეთ კი შოთა გრიგალაშვილი თითქოს სადღაც დაიკარგა...

სავარაუდოდ, „დინამო“ ნიჭიერ ნახევარმცველს ისევ იჯარით გაუშვებს სადმე.

ეტყობა, „გრიგალა“ აშკარად ვერაა ფორმაში, თორემ დღევანდელი „დინამოს“ ძირითადში მოხვედრა რატომ უნდა გასჭირვებოდა?!

**ილია ნანობაშვილი**

# ლომაია ვიტ ჯორჯიაში ვარჯიშობს და ელის

**მოგეხსენებათ,** საქართველოს ნაკრების მეკარე გიორგი ლომაიამ გასული სეზონი რუსთავის „ოლიმპში“ ჩაამთავრა და მას შემდეგ უცხოეთისკენ უჭირავს თვალი. თუმც ჯერჯერობით კვლავ საქართველოშია და თბილისის „ვიტ ჯორჯიასთან“ ერთად ვარჯიშობს.

„ალბათ, ორ-სამ კვირაში გაირკვევა, რომელ ქვეყანაში ვითამაშებ. ჯერ კონკრეტული ვარიანტი არ მაქვს. თუ უცხოეთიდან არაფერი გამოვიდა, საქართველოში დარჩენას მერე განვიხილავ“ — გვითხრა გუშინ გიორგი ლომაიამ.

**ნუკრი ლოლაძე**

# ტატანას მეორე პლზენური

**დიმიტრი ტატანაშვილმა** თავის ახალ კლუბ „პლზენში“ მეორე გოლი მიითვალა. პლზენელები ტესტ-მატჩში 2:4 დამარცხდნენ ჩეხურ „პრჟიბრამთან“, ექს-ამერელმა კი სრულად ითამაშა და 28-ე წუთზე შეაგდო, რითაც ანგარიში გახსნა მატჩში.

დიმა „პლზენის“ ეული თავდამსხმელი იყო „პრჟიბრამთან“.

**ილია ნანობაშვილი**

# დიდგულიანი პატარა



სებასტიან ჯოვინკო ტურინის „იუვენტუსისა“ და მთლიანად იტალიის ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი მოთამაშეა. იგი გასულ სეზონში „ემპოლიში“ იყო განათხოვრებული. ტოსკანელები სერია A-დან კი გაცვივდნენ, მაგრამ „ახალი ჯანფრანკო ძოლას“ ბრწყინვალე თამაშს ეს არ აკნინებ. ახლა ტანჩია შემტევი ნახევარმცველი „აძურინისთან“ ერთად, პეკინის ოლიმპიადისთვის ემზადება და მისგან ბევრს ელიან

**— რაზე ოცნებობს ახალგაზრდა ფეხბურთელი ივლისის მზიან დღეებში?**

— იმაზე, რაზეც ბავშვობიდან ვოცნებობ. თუმცა ახლა მხოლოდ ოლიმპიადაზე ვფიქრობ.

**— და იმაზეც, როდის შეხვდებით ჩინდორზე რონალდინიოს?**

— თუ ერთდროულად ბევრ რამეზე ვიფიქრებ და ბევრ მიზანს დავისახავ, ვერცერთს მივაღწევ. ერთ კონკრეტულ რამეზე უნდა იყო კონცენტრირებული, რათა სწორად გაიზარდო და განვითარდე.

**— ზრდას ორმაგი მნიშვნელობით გულისხმობთ?**

— არა. დაბალი კი ვარ, მაგრამ არის ბევრი ადამიანი, რომელიც, მაგალითად, 190 სანტიმეტრია, მაგრამ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს. მთავარი სიმაღლე კი არა, დიდი გულია.

**— არ გიკვირთ, რომ უკვე ასე უყვარხართ ხალხს?**

— ცოტათი. მომწონს, ხალხი მეტსახელებს რომ მარქმევს, რომლებიც მათ სიმპათიას გამოხატავენ.

**— რომელი მეტსახელი მოგწონთ?**

— „ატომური ჭიანჭველა“ — მიხდება, არა?

**— ძოლამ თავის მემკვიდრედ დაგასახელათ, ეს უბრალო სოლიდარობაა დაბალ ფეხბურთელებს შორის?**

— შესაძლოა, მან ჩემში ის თვისება დაინახა, რომელიც თავად ჰქონდა. არა მგონია, სიმაღლე არაფერ შუაშია. ჯანფრანკო ჩემთვის ყველაფერში მისაბაძი ადამიანია. დიდი ათი ნომრების, პლეიმეიკერების საოცარი თამაშის ყურებით ვიზრდებოდი და აღფრთოვანებული ვიყავი ამ ადამიანებით — დიეგო მარადონა, რობერტო ბაჯო, ალესანდრო დელ პიერო...

**— არცერთი მაღალი პლეიმეიკერი არ მოგწონდათ?**

— ზინედინ ზიდანი.

**— მართლა არ არის პრობლემა, როცა მხოლოდ 164 სანტიმეტრი ხარ?**

— პრობლემა რომც იყოს, მისი ატანა მომიხდებოდა. ეს ის შემთხვევაა, როცა ვერაფერს შეცვლი და რაც არის, იმას უნდა შეეგუო.

**— გოლის გატანის მერე ხელის გულს რომ თავზე იდებთ, ამით რისი თქმა გინდათ, კიდევ ერთი 15 სანტიმეტრი მომამატებინათ?**

— არა, ეს, უბრალოდ, ხუმრობაა, რომელიც გაცინების მიზეზს გვაძლევს.

**— ოლიმპიური ნაკრების თითქმის ყველა მოთამაშე თავის კლუბში სარეზერვოა. არ გაღიზიანებენ უცხოელები, რომლებიც თქვენს ადგილებს იკავებენ ძირითად შემადგენლობაში?**

— უკეთესი იქნებოდა, ძირითადში იტალიელები ყოფილიყვნენ, მაგრამ ეს ფეხბურთია და მას ვერ შევცვლით.

**— სესკ ფაბრეგასის ხომ არ გშურთ? უკვე 17 წლის ასაკში, ძირითადის მოთამაშე იყო.**

— შური ცუდი თვისებაა და სჯობს, არ გქონდეს. მას ყოველთვის იღბლიან მოთამაშედ მივიჩნევდი. თუმცა ძირითადში ადგილს ადრე თუ გვიან აუცილებლად მიიღებ, თუ ამას იმსახურებ. ყველასთვის ცნობილია, რომ იტალიაში ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის ადგილის დამკვიდრება უფრო ძნელია, მაგრამ ამაზე წუწუნს აზრი არ აქვს.

**— ოლიმპიადის მერე „იუვენტუსი“ გელოდებათ. ეს თქვენს კარიერაში საკვანძო მომენტია?**

— ვფიქრობ, კი. შევეცდები, ძირითად შემადგენლობაში დავმკვიდრდე, ეს უნდა დავიმსახურო, ოღონდ ადვილი არ იქნება. თუმც ეს რომ გავიაზრე, უკვე კარგია და მოტივაციაც მემატება.

**— რის შეთავაზება შეგიძლიათ ტურინელებისთვის?**

— შრომა და, შესაძლოა, ის, რომ ქომაგები სიამოვნებით დაიწყებენ ჩემი თამაშის ყურებას. ვატყობ, რომ ბოლო დროს სტადიონებზე შედარებით ცოტა ადამიანი დადის გასართობად და სიამოვნების მისაღებად. ბრწყინვალე იქნება, თუ ვინმე იტყვის — წამოდი, ჯოვინკოს თამაშს ვუყუროთ.

**— ყოფილა შემთხვევა, როცა ტრიბუნებზე ვინმეს თქვენთვის სიმაღლის გამო დაეცინა?**

— თუ ვინმე ასე მოიქცევა, თავს სუსტ პიროვნებად გამოაჩენს. რა სჯობს — დაბალი იყო, თუ სუსტი?

**— სხვა ჯოვინკოც არის...**

— დიახ, ჩემი ძმა, რომელიც „იუვენტუსის“ ახალგაზრდულ გუნდშია, თუმც ჩვენ განვსხვავდებით — იგი თითქმის მაღალია.

# საფეხბურთო ლეგენდები

## გიორგი კაკაბაძე



უმბერტო ანიელი

### ლეგენდა №51
## ოქროს ვარსკვლავი

1958 წელს, ტურინის „იუვენტუსის“ აწ გარდაცვლილ მფლობელ უმბერტო ანიელის იდეა გაუჩნდა — სპორტში, კერძოდ კი ფეხბურთში, მიღწეული წარმატებების, ჩემპიონატისა თუ სხვა ტურნირების მრავალჯერ მოგების აღსაბეჭდათ, კლუბებს თავიანთ გერბსა და მაისურაზე ვარსკვლავი გამოესახათ.

„სტელა დორო ალ მერიტო სპორტივო“ იმავე წელს გაჩნდა „იუვენტუსის“ მაისურაზე, „ბებერი ქალბატონის“ მიერ იტალიის ჩემპიონატის ათჯერ მოგების აღსანიშნავად. შესაბამისად, ერთი ვარსკვლავი ათი ჩემპიონობის ტოლია.

როგორც იტალიაში, ასევე მთელს ევროპაში, ტურინელები პირველნი იყვნენ, ვინც თავიანთ გერბსა და მაისურაზე ვარსკვლავი გამოსახეს.

1982 წელს „იუვენტუსმა“ მეორე ვარსკვლავიც დაიმსახურა.

ამჟამად თითო „ოქროს ვარსკვლავით“ დამშვენებულნი კიდევ მხოლოდ „მილანი“ და „ინტერი“ არიან.

### ლეგენდა №52
## დერ კლუბი

1900 წლის 4 მაისს, ბავარიაში, კერძოდ კი ნიურნბერგის პაბ „Burenhutte“-ში 18 ახალგაზრდა ადამიანი შეიკრიბა და მათ დაარსეს საფეხბურთო კლუბი 1. FC Nurnberg, ანუ უბრალოდ, „ნიურნბერგი“.

ბუნდესლიგის ჩამოყალიბებამდე ეს გერმანიის ყველაზე წარმატებული და ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გუნდი გახლდათ. ხალხმა მას მეტსახელად „დერ კლუბი“ ანუ უბრალოდ „კლუბი“ შეარქვა.

ნიურნბერგელები სამაგალითონი იყვნენ თამაშის სტილითა თუ ქცევით, როგორც მინდორზე, ასევე მის გარეთ.

1963 წელს, როცა ბუნდესლიგა ჩამოყალიბდა, „ნიურნბერგი“ ქვეყნის რვაგზის ჩემპიონი გახლდათ და კიდევ არაერთი წარმატებისთვის ჰქონდა მიღწეული. 1918 წლის ივლისიდან 1922 წლის თებერვლამდე გუნდმა 104 ოფიციალური მატჩის წაუგებლად ჩატარება კი შეძლო. თუმცა ბუნდესლიგის დაარსებიდან დღემდე „დერ კლუბმა“ მხოლოდ ერთხელ, 1968 წელს შეძლო გაჩემპიონება.

გერმანული ფეხბურთის დღევანდელი ფლაგმანი კი ასევე ბავარიიდანაა — ჯერაც დაუმხობელი არაერთი რეკორდის ავტორი, უამრავი ტიტულის მომგები და მსოფლიოს ერთ-ერთი გამორჩეული გრანდი მიუნხენის „ბაიერნი“, რომელსაც ქვეყნის ჩემპიონატი ბუნდესლიგის დაარსებამდე მხოლოდ ერთხელ — 1932 წელს მოეგო...

### ლეგენდა №53
## პრო ვერჩელი

იტალიური საფეხბურთო კლუბი „პრო ვერჩელი“ 1903 წელს დაარსდა. 1908-1922 წლებში ამ გუნდმა შვიდჯერ შეძლო იტალიის ჩემპიონობა და ერთხელ მეორე ადგილზე გასვლა. მაშინ ეს „ჯენოასთან“ ერთად საუკეთესო მაჩვენებელი გახლდათ და პიემონტელები ქვეყანაში დიდი სიყვარულით სარგებლობდნენ.

გარკვეული პერიოდი იტალიის ნაკრები ძირითადად „პრო ვერჩელის“ ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული. „სკუადრა აძურაში“ ამ კლუბის ცხრა მოთამაშე იყო.

„პრო ვერჩელის“ ფეხბურთელები სიხისტით, ხშირად უხეშობითაც კი გამოირჩეოდნენ. ამის გამო გუნდს „ლომები“ შეარქვეს. მეორე მეტსახელი „ბიანკე კასაკე“ ანუ „თეთრი მაისურებია“.

პიემონტელები მთელ მსოფლიოში პოპულარულები გახდნენ და კლუბი რიო დე ჟანეიროში დაპატიჟეს „ბოტაფოგოსა“ და „ფლამენგოსთან“ სათამაშოდ. 1922 წელს კი ინგლისის მოქმედმა ჩემპიონმა და იმხანადაც ერთ-ერთ უძლიერესად მიჩნეულმა „ლივერპულმა“ ევროპული ტურნეს დროს ყველა დაამარცხა ერთი მეტოქის გარდა — მერსისაიდელებისა და „პრო ვერჩელის“ შეხვედრა ფრედ დასრულდა.

სამწუხაროდ, „თეთრი მაისურების“ საქმე ნელნელა უარესობისკენ წავიდა. განსაკუთრებით კი 1934-1935 წლების სეზონის მერე, როცა გუნდი სერია B-ში გავარდა, 1940-1941 წლების სეზონში კი სერია C-ში. მას შემდეგ „პრო ვერჩელიმ“, უმაღლეს ლიგაში დაბრუნება ხომ ვერა და, სერია B-ში მოხვედრაც სულ რამდენჯერმე შეძლო.

### ლეგენდა №54
## ინგლისის პირველი ჩემპიონი

ინგლისის ჩემპიონატის ერთ-ერთი დამაარსებელი საფეხბურთო კლუბი „პრესტონი“, რომელიც 1888-1889 წლების სეზონში ქვეყნის პირველი ჩემპიონი გახდა. იმავე სეზონში პრესტონელებმა თასიც მოიგეს, ანუ პირველად შეასრულეს ეგრეთ წოდებული დუბლი. თანაც გუნდს ჩემპიონატში თუ თასზე ერთი მატჩიც არ წაუგია.

„პრესტონის“ რეკორდი 2003-2004 წლებში ლონდონის „არსენალმა“ გაიმეორა, რომელმაც პრემიერლიგა წაუგებლად ჩაატარა.

1889-1890 წლების სეზონში „პრესტონმა“ მიჯრით მეორედ და ჯერჯერობით უკანასკნელად მოიგო ინგლისის ჩემპიონატი. ამის მერე კლუბში ყველაფერი თავდაყირა დადგა და...

„პრესტონის“ ბოლო სერიოზული წარმატება 1938 წლით თარიღდება, როცა გუნდმა მეორედ და ჯერჯერობით ასევე უკანასკნელად მოიპოვა ქვეყნის თასი.

1961 წელს „პრესტონი“ უმაღლესი ლიგიდან გავარდა და მას მერე დაბრუნებას ვერ ახერხებს. მიუხედავად ამისა, 1964 წელს ქვედალიგელმა პრესტონელებმა თასის ფინალში გასვლა შეძლეს, მაგრამ ლონდონის „ვესტ ჰემთან“ დამარცხდნენ.

1973 წელს გუნდის მწვრთნელად ლეგენდარული ბობი ჩარლტონიც კი დაინიშნა, მაგრამ ვერც მან შეძლო „პრესტონთან“ ერთად რაიმე სერიოზული შედეგის მიღწევა. ფანები კი დღემდე მოთმინებით ელიან, რომ ერთ დროს ინგლისის უძლიერესი კლუბი და ქვეყნის პირველი ჩემპიონი ელიტაში დაბრუნდება.

რას შეცვლის ვისენტე დელ ბოსკე ნაკრებში? დააბრუნებს თუ არა რაულს და ჩააყოფინებს თუ არა ვინმეს ცხვირს თავის საქმეში? ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა „ასის" კითხვებს უპასუხა და ლუის არაგონესს მადლობა შეუთვალა

# ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია მადრიდის „რეალში" თამაშობს

**— გილოცავთ იმ ნაკრების მწვრთნელობას, რომელიც საუკეთესოა ბოლო 50 წელიწადში.**

— უღრმესი მადლობა. პრივილეგირებული აღმოვჩნდი, რადგან ლუის არაგონესმა ევროპის ჩემპიონი გუნდი დამიტოვა. ეს დიდებული წელია ესპანური ფეხბურთის ისტორიაში. ბედნიერი ვარ, რომ ნაკრები მანდეს. ალბათ, ნებისმიერი მწვრთნელი ოცნებობს თავისი ქვეყნის ნაკრების თავკაცობაზე და ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა.

**— როგორ უნდა დაჩრდილოთ ლუის არაგონესი, მსოფლიოს ჩემპიონობით?**

— ნაკრებმა მწვერვალს უკვე მიაღწია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ზემოთ გზა კიდევ არის. მე ჩამაბარეს ახალგაზრდა, კარგად შეთამაშებული, თითქმის უნაკლო გუნდი. შევეცდები, სამართლიანი და თანმიმდევრული, საქმისთვის თავდაუზოგავი მწვრთნელი ვიყო.

**— რას შეცვლის დელ ბოსკე?**

— ახალგაზრდა ბიჭებმა დანავსული სერია შეწყვიტეს და ესპანეთის ისტორიაში შევიდნენ. მათ უდიდეს პატივს ვცემ და ძირეულ ცვლილებებს არ ვაპირებ.

**— მეშვიდე ნომრით ვინ ითამაშებს?**

— რა თქმა უნდა, დავიდ ვილია.

**— შეუძლია თუ არა რაულს, რაიმე შემატოს ნაკრებს?**

— მიჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. დრო გვიჩვენებს.

**— გულშემატკივრებს არ მოსწონთ, რომ ფედერაციაში მადრიდის „რეალის" ბევრი ყოფილი მწვრთნელი მუშაობს. თქვენს გარდა კიდევ ექვსი ექსრეალელია სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში. ნამეტანი ხომ არაა?**

— ფედერაციის სპორტული დირექტორი ფერნანდო იერო ამ კითხვაზე ჩემზე უკეთ გიპასუხებთ.

**— ზოგს ეეჭვება, რომ დამოუკიდებელი იქნებით. ვინმე შეძლებს თქვენს საქმეში ცხვირის ჩაყოფას?**

— მზად ვარ, მოვუსმინო რჩევადარიგებებს, მაგრამ გადაწყვეტილებებს მე მივიღებ. ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

**— რჩევას ფეხბურთელებსაც დაეკითხებით?**

— რატომაც არა? ვერაფერს მიაღწევ, თუ გუნდში ჯანსაღი ატმოსფერო არ იქნება. გავესაუბრები ყველას, მაგრამ ვიმეორებ — ბოლო სიტყვას მე ვიტყვი.

**— ევროპული ფეხბურთის ისტორიაში ევროპის ჩემპიონი მწვრთნელი აქამდე არავის მოუხსნია და პირველად ეს ესპანეთში მოხდა. ამაზე რას ფიქრობთ?**

— მირჩევნია, ასეთი გუნდის მწვრთნელი ვიყო, ვიდრე კრიზისში მყოფი ნაკრებისა. ლუის არაგონესს წასვლა ევრო 2008-მდე ჰქონდა გადაწყვეტილი და მეც აქ ამიტომ ვარ.

**— თქვენს ხელში ესპანეთი ისევ მოკლეპასურ ფეხბურთს ითამაშებს?**

— ძალიან მომწონს ასეთი ფეხბურთი, მაგრამ ყველა მწვრთნელს საკუთარი ფილოსოფია აქვს და მეც, ალბათ, მცირე კორექტივებს შევიტან.

**— უფრო ფლანგურ შეტევებზე გადაიტანთ აქცენტს?**

— ტაქტიკას ავირჩევ იმის მიხედვით, თუ როგორი ფეხბურთელები მეყოლება. ამის მერე დავადგენ, ცენტრიდან შეტევა სჯობს თუ ფლანგებიდან.

**— კაპელი, ნავასი, სისი. სამივე ფლანგელია. ეს ფეხბურთელები თქვენს სიაში არიან?**

— ისინი ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობენ და ეროვნული გუნდის კანდიდატებად მივიჩნევ.

**— როგორ ფიქრობთ, ესპანეთს ბრაზილიის ან არგენტინის ნაკრების დამარცხება შეუძლია?**

— ევრო 2008-ზე ესპანეთმა ევროპის (საბერძნეთი) და მსოფლიოს (იტალია) ჩემპიონებს მოუგო, ფინალში კი ძლიერ გერმანიას აჯობა. მანამდე ამხანაგურ შეხვედრაში ფრანგებსაც სძლია. ამის გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ არგენტინის და ბრაზილიის ნაკრებთა დამარცხებასაც მოახერხებს. ტყუილად ხომ არ ვართ ფიფას რეიტინგის სათავეში.

**— არაგონესს ესაუბრეთ?**


ვისენტე დელ ბოსკე და ფერნანდო იერო

— ძალიან მინდოდა მასთან პირისპირ საუბარი, მაგრამ ჯერ ვერ შევძელი. მან ესპანელი მწვრთნელების პრესტიჟი ასწია და ჩვენ ამის გამო ვემადლიერებით.

**— ორი წლის შემდეგ ესპანეთს მსოფლიოს ჩემპიონობის როგორი შანსი ექნება?**

— გუნდს გამარჯვებულის ფსიქოლოგია აქვს. მხოლოდ ევროპის ჩემპიონატი კი არა, ამ მოთამაშეებმა სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებშიც ბევრი ტურნირი მოიგეს. დაწყევლილი მეოთხედფინალი გადალახეს და ახალი სიმაღლეებისკენ უნდა იარონ. იმისათვის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე წავიდეთ, ჯერ შესარჩევის გავლა მოგვიწევს.

**— შესარჩევ ეტაპს ბოსნიის და სომხეთის მასპინძლობით იწყებთ მურსიასა და ალბასეტეში. გსურთ, რომ ნაკრებმა ბასკეთში და კატალონიაშიც ითამაშოს?**

— ძალიან მინდა, რომ ეს მოხერხდეს და ყველაფერმა კარგად ჩაიაროს.

# ფერგიუსონმა არ იცოდა, რომ სკოლარიმ იცის

**პრემიერლიგის** დაწყებამდე ალექს ფერგიუსონმა ომი დაიწყო — „ჩელსის" პენსიონერების გუნდი უწოდა.

შოტლანდიელი მწვრთნელი დარწმუნებულია, რომ ლუიშ ფელიპე სკოლარი „ჩელსით" მის ახალგაზრდა „მანჩესტერს" საჩემპიონო რბოლაში ვერ შეეჯიბრება და ვერც მაურინიუს მიღწევებს გაიმეორებს.

„ჩელსი" არ მაღელვებს, რადგან მაურინიუ აქ აღარაა. ძალიან გამოცდილი ფეხბურთლები ჰყავთ, მაგრამ პროგრესს ვერ ვხედავ გუნდში, რომლის საშუალო ასაკმაც 30-ს მიუკაკუნა. როგორ უნდა შეგვეჯიბროს ასეთი მეტოქე?" — იკითხა ფერგიუსონმა.

მიკაელ ესიენმა პასუხად თქვა: „მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები გვყავს და „ჩელსი" ამ სეზონში ჩემპიონი გახდება. ბალაკი, ლამპარდი და დეკუ უმაღლესი კლასის მოთამაშეები არიან და ეს დიდ უპირატესობას გვანიჭებს".



ალექს ფერგიუსონი: „თანამედროვე სავარჯიშო მეთოდების გათვალისწინებით, 30 წლის ფეხბურთელს მომზადება და თამაში არ გაუჭირდება, მაგრამ მე ვამბობ, რომ „ჩელსიში" წინსვლა არ შეიმჩნევა. მართალია, ისევ ისე იბრძოლებენ, თუმც სადამდე გაქაჩავენ, ვერ გეტყვით.

შეხედეთ ჩემს გუნდს — ანდერსონის, რუნის, ტევესის და ნანის პროგრესი თვალშისაცემია. მათ აშკარად მოუმატეს და ეს მაიმედებს.

ავრაამ გრანტმა წინა სეზონში კარგად იმუშავა, მაგრამ ჟოზე მაურინიუმ ზედიზედ ორჯერ მოიგო პრემიერლიგა და ასოცოაციის თასის ფინალშიც დაგვამარცხა. არა მგონია, ვინმემ ეს შედეგი გააუმჯობესოს.

ლუიშ ფელიპე სკოლარი ბედნიერია, რომ ასეთი დიდი კლუბის მწვრთნელი გახდა. მას არც კი ვიცნობ. არ მეგონა, თუ ინგლისური იცოდა. ბევრ გუნდში უმუშავია, მსოფლიოს ჩემპიონია და ეს მისი უპირატესობაა".

„მანჩესტერის" საშუალო ასაკი — 26,7

მეკარეები — 29,3
მცველები — 27,5
ნახევარმცველები — 25,7
ფორვარდები — 25

„ჩელსის" საშუალო ასაკი — 28

მეკარეები — 30,1
მცველები — 27,7
ნახევარმცველები — 27,1
ფორვარდები — 28,2

**მაშა ხუციშვილი**

# უძვირფასესი კაცი პრემიერლიგაში

**„ჩელსი"** ფრენკ ლამპარდს კონტრაქტის გახანგრძლივებაზე მოურიგდა, ოღონდ ქაღალდები ჯერ ხელმოწერილი არაა.

30 წლის ინგლისელი ნახევარმცველი პრემიერლიგის ყველაზე მსუყეჯამაგირიანი ფეხბურთელი გახდება. ლამპარდი ხელშეკრულებას ხუთი წლით გაახანგრძლივებს და კარიერას „ჩელსიში" დაასრულებს. იგი კვირაში დაახლოებით 150 ათას გირვანქას მიითვლის.

მისი ამჟამინდელი კონტრაქტი მომავალ ზაფხულს იწურებოდა. კლუბი შარშანდლიდან ცდილობდა, ხელშეკრულების განახლებაზე დაეყაბულებინა, ფეხბურთელი კი ხელფასის გაზრდას ითხოვდა. მასზე მეტს არაფრისმაქნისი ანდრეი შევჩენკო იღებდა. ამიტომაც ლამპარდის პრეტენზია სამართლიანი იყო.

ერთი კვირის წინ ოთხწლიანი და 140-ათასიანი კონტრაქტი დაუდეს მაგიდაზე, მაგრამ ფეხბურთელმა კალამს ხელი არ მოჰკიდა. ბრიტანული მედიის ცნობით, ხუთწლიან ხელშეკრულებაზე ბიჭი აზიურ ტურნეში „ჩელსის" წასვლამდე დაითანხმეს.

ფრენკ ლამპარდის გადაბირება „ინტერში" ჟოზე მაურინიუს ძალიან სურდა, მაგრამ ახლა ალბათ თავს დაანებებს. ლამპარდი „ჩელსიში" 2001 წლიდანაა და 247 მატჩში 71 გოლი გაიტანა.



ფრენკ ლამპარდი

**მაშა ხუციშვილი**

# მუტუს გზა რომაში მიდის?



**იტალიურმა** „რომამ“ ოფიციალური შეთავაზება გაუკეთა ფლორენციის „ფიორენტინას“ ადრიან მუტუს თაობაზე. აპენინური ჟურნალ-გაზეთები დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ტრანსფერი შედგება კიდეც.

ბოლო წლებში რუმინელი „ფიორენტინას“ უდავო ლიდერი და სერია A-ს ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა. „იებს“ მისი შენარჩუნება კი უნდათ, მაგრამ ფეხბურთელის სურვილის საწინააღმდეგოდ ვერ ვიმოქმედებთო.

მითქმა-მოთქმა მას მერე გამწვავდა, რაც მუტუ ფლორენციელთა სამშაბათის ვარჯიშზე არ გამოჩნდა და მიზეზად გაციება დასახელდა.

ამბობენ, „იები“ 22-23 მილიონ ევროს მიიღებენ, მუტუ კი „გლადიატორებთან“ მრავალწლიან კონტრაქტს გააფორმებს და სეზონში დაახლოებით 3 მილიონ ევროს, პლუს ბონუსებს მიიღებს.

„ამბების დამალვა და ვითარების ჩახლართვა არ მიყვარს. გახსნილი კარტით თამაში მიყვარს. „რომასგან“ შემოთავაზება ნამდვილად მივიღეთ და, მგონი, ლოგიკურია, რომ იგი უნდა განვიხილოთ. საბოლოო გადაწყვეტილებას ყველა ერთად მივიღებთ. ჩვენი მიზანი ფეხბურთელების შენარჩუნებაა, მაგრამ როცა 30 წელს მიახლოებული მოთამაშეები წასვლაზე ფიქრობენ, ყურადსაღებია. ფეხბურთელს თავისუფლად შეუძლია, გაშვება ითხოვოს, ჩვენ კი შემოთავაზებები განვიხილოთ. ეს ჩვეულებრივი ამბავია. ეგებ მუტუს მართლაც სხვა კლუბში უნდა“ — თქვა „ფიორენტინას“ სპორტულმა დირექტორმა პანტალეო კორვინომ.

რუმინელის შემცვლელად პრესამ ფლორენციელებს უკვე ოთხი კანდიდატი ჩამოუწერა — უდინეზელი ანტონიო დი ნატალე, ლაციოელი გორან პანდევი, ტორონტოელი ალესანდრო როზინა და პსვ-ს შემტევი ნახევარმცველი იბრაჰიმ აფელაი.

აქვე აღვნიშნოთ, რომ „იებმა“ ახალგაზრდა თავდამსხმელი არტურო ლუპოლი „ნორვიჩში“ გაანათხოვრეს. 21 წლის ფეხბურთელს ინგლისში უკვე უთამაშია — „არსენალსა“ და „დერბიში“ ირიცხებოდა.

**გიორგი ძაძამიძე**

# ინტერმა კოუტინიუ დაიბევა

**მილანის** „ინტერმა“ პერსპექტიული ბრაზილიელი, შემტევი ნახევარმცველი ფილიპე კოუტინიუ იყიდა. გავრცელებული ცნობით, „ნერაძური“ „ვასკუ დე გამას“ 4-4,5 მილიონ ევროს გადაუხდის.

იტალიური კანონების თანახმად, სანამ ფეხბურთელი 18 წლის არ გახდება, სერია A-ში თამაშის უფლება არ აქვს. 16 წლის კოუტინიუ 2009 წლის ბოლომდე იჯარით დარჩება „ვასკუში“. სხვათა შორის, მას „რეალი“ და „ბარსელონაც“ უტრიალებენ.

ამასობაში 20 წლის ურუგვაელი თავდამსხმელი სებასტიან სესარ ელიოს რიბასი „ინტერმა“ ფრანგულ „დიჟონს“ მიჰყიდა.

ამასთან, „ინტერი“ ნახევარმცველის ძიებას აგრძელებს. ამჟამად საუბარი „პორტუს“ რიკარდუ კვარეშმასა და პორტსმუთელ სულეი ალი მუნტარიზეა. „სან სიროს“ ბინადრები ორივე მათგანის გადაბირებასთან ახლო ყოფილან და ალბათ ერთ-ერთს მაინც ჩაიგდებენ ხელში.

მუნტარის მცირე უპირატესობას აძლევს ის, რომ იტალიაში უკვე უთამაშია. 23 წლის განელი წარმატებით ბურთაობდა „უდინეზეს“ რიგებში. თუმცა „პორტსმუთის“ მიერ მოთხოვნილი 15 მილიონი გირვანქა „სან სიროს“ ბინადრებს ძალიან ეძვირებათ.



**კოკი კანდელაკი**



# კანავაროს ბოლო რეალური სეზონი

**ვეტერანი** იტალიელი მცველი ფაბიო კანავარო მომავალი სეზონის მერე მადრიდის „რეალს“ დატოვებს. ეს ინფორმაცია მისმა აგენტმა გაეტანო ფედელემ გაავრცელა. ყოველ შემთხვევაში, იტალიური პრესა ასე იუწყება.

2006 წლის ზაფხულში კანავაროს კაპიტნობით იტალიამ მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო, რომლის შემდეგაც ფაბიო სერია B-ში გაგდებული „იუვენტუსიდან“ „რეალში“ გადავიდა და სამეფო გუნდთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ასე რომ, მომავალ ზაფხულს იგი თავისუფალი აგენტი იქნება.

ახალი არ არის, რომ 34 წლის ფეხბურთელს კარიერის დასრულება მშობლიური ქალაქის კლუბ „ნაპოლიში“ სურს და ეს ალბათ ასეც მოხდება. მით უმეტეს, რომ „სტადიო სან პაოლოს“ ბინადრები ახლა საკმაოდ მოძლიერებულნი არიან და შორსმიმავალი გეგმები აქვთ.

კანავაროს შემცვლელზე უკვე „რეალსაც“ ნაფიქრი აქვს. ნიჭიერი არგენტინელი ესეკიელ ლავეცი მომავალ სეზონს იჯარით „რასინგში“ გაატარებს, მერე კი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დაიდებს ბინას.

**კოკი კანდელაკი**

## ჭორები უაით ჰარტ ლეინიდან

**ბოლო** დღეებში ინგლისურ პრესაში საკმაოდ ბევრი საინტერესო რამ იწერება „ტოტენჰემ ჰოთსპურსთან“ დაკავშირებით. როგორც ბრიტანელი ჟურნალისტები იუწყებიან, „დეზები“ მთელ დოსიეს ამზადებენ ფაქტებითურთ, „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და დიმიტარ ბერბატოვის უშედეგო მოლაპარაკებების შესახებ და ამ დოსიეს კლუბი პრემიერლიგის მმართველობას წარუდგენს. ასევე ამბობენ, რომ „სპურსმა“ სანკტ-პეტერბურგის „ზენიტს“ ანდრეი არშავინის სანაცვლოდ 20 მილიონი ევრო შესთავაზა. ყვითელი პრესის კიდევ ერთი ცნობით კი, „დეზები“ გერმანული „შტუტგარტის“ პორტუგალიელი მცველი ფერნანდუ მეირათი არიან დაინტერესებულნი.

## ზენიტს ბარნეტა არ სურს

**სანკტ-პეტერბურგის** „ზენიტმა“ უარი განაცხადა 23 წლის ნახევარმცველის ტრანკილიო ბარნეტის გადმოყვანაზე. ლევერკუზენის „ბაიერის“ ფეხბურთელი ამ ტრანსფერზე თანახმა იყო, თუმც საბოლოოდ რუსებმა უარით გაისტუმრეს შვეიცარიელი, რომელმაც ამ ზაფხულს ევრო 2008-ზე იასპარეზა.

## ტორინომ ბოიმელი გაიფორმა

**იტალიურმა** „ტორინომ“ ხელშეკრულება გააფორმა ავსტრიის ნაკრების ნახევარმცველ იურგენ ბოიმელთან, რომელიც აქამდე გრაცის „შტურმის“ რიგებში ირიცხებოდა. 23 წლის ავსტრიელთან კონტრაქტი სამ წელზეა გათვალისწინებული.

## რაულმა რეალი დაიცვა

**მადრიდის** „რეალის“ კაპიტანი რაული არ დაეთანხმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ დამრიგებელ ალექს ფერგიუსონს იმაში, რომ კრიშტიანუ რონალდუსთვის „სამეფო კლუბში“ გადასვლა დიდი შეცდომა იქნება.

„მადრიდის „რეალში“ გადასვლა საუკეთესოა, რაც კი შეიძლება, ფეხბურთელის ცხოვრებაში მოხდეს. აქ უკვე 14 წელია, გამოვდივარ და ერთხელაც არ გამჩენია რამის შეცვლის სურვილი“ — განაცხადა მადრიდის „მფარველმა ანგელოზმა“.

## ვესტ ჰემმა მაკარტნი დაიტოვა

**ლონდონურმა** „ვესტ ჰემმა“ ახალი, ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა ჯორჯ მაკარტნის. ჩრდილოირლანდიელი მცველით რამდენიმე კლუბი იყო დაინტერესებული, მათ შორის „სანდერლენდიც“, რომლის რიგებში მაკარტნი ადრეც თამაშობდა, მაგრამ „ჩაქუჩებმა“ არ მოისურვეს მისი გაშვება და 27 წლის ფეხბურთელი 2013 წლამდე დაიბევეს.

## ჰანოვერში საბჭო გაუქმდა

**ბუნდესლიგის** „ჰანოვერის“ მთავარმა მწვრთნელმა დიტერ ჰეკინგმა გააუქმა კლუბში არსებული ფეხბურთელთა საბჭო, რომელიც ხუთი მოთამაშისგან შედგებოდა და, ძირითადად, გუნდში შექმნილი პრობლემებს განიხილავდა.

ამასთან, „ჰანოვერის“ კაპიტნად კვლავ მეკარე რობერტ ენკე დაინიშნა, ხოლო მის მოადგილედ — ნახევარმცველი ალტინ ლალა.

## ნკონგი სატურნში ისინჯება

**რამენსკოეს** „სატურნში“ სამედიცინო შემოწმებაზე იმყოფება კამერუნელი ალენ ნკონგი. 29 წლის ფეხბურთელი ბოლოს მექსიკურ „ლეონში“ ირიცხებოდა. ნკონგს კამერუნის ნაკრებში 21 მატჩში 10 გოლი აქვს გატანილი. აფრიკის ერთვნებათა თასის წლევანდელ ტურნირზე ნკონგი საკმაოდ კარგად გამოვიდა.

## ბალდეს უშვებენ

**შოტლანდიურმა** „სელტიკმა“ თავისუფალი აგენტის სტატუსი მიანიჭა ბობო ბალდეს. გვინეელი მცველით კი ამსტერდამის „აიაქსი“ და ინგლისური „ვულვერჰემპტონი“ გამოთქვამენ დაინტერესებას. შოტლანდიურ კლუბში ბალდეს ხელფასი ერთ მილიონ გირვანქას შეადგენდა, რამაც, შეიძლება, ამსტერდამელები ცოტა დააფრთხოს.

## მერტეზაკერი სტარტს გააცდენს

**ბრემენის** „ვერდერის“ მცველი პერ მერტეზაკერი ბუნდესლიგის სტარტს გამოტოვებს. გერმანიის ნაკრების ფეხბურთელმა ვარჯიშზე მენისკის ტრავმა მიიღო და გუშინ აუგსბურგში ოპერაცია უნდა გაეკეთებინა. 23 წლის მერტეზაკერი, სავარაუდოდ, სამ-ოთხ კვირაში ჩადგება მწყობრში.

## მეირამ თურქებს ახეირა

**პორტუგალიის** ნაკრების მცველმა ფერნანდუ მეირამ თურქულ „გალათასარაისთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვით ყოველწლიურად 1,2 მილიონ ევროს მიიღებს. ამ ტრანსფერთან დაკავშირებით თავისი კმაყოფილება თურქული კლუბის პრეზიდენტმა ადნან პოლატმა გამოთქვა: „ცოტა ხნის წინ რიგობერ სონგმა დაგვტოვა, რომელიც წელიწადში 1,8 მილიონ ევროს იღებდა, ახლა კი სონგზე არანაკლებ კარგი მოთამაშე შემოგვიერთდა. მისი ხელფასი ჩვენი კლუბისთვის უფრო მისაღებია, ასე რომ, მეირას ტრანსფერი ორმაგად სასარგებლო აღმოჩნდა“ — აღნიშნა პოლატმა.

**არჩილ ძოწაძიძე**

# ოთხვარსკვლავიანი ფორმა



**მიუნხენის** „ბაიერნმა“ ახალი საგარეო და საჩემპიონთალიგო მაისურების პრეზენტაცია მოაწყო.

მომავალ სეზონში ბავარიელები სტუმრად შეხვედრებს მუქი ლურჯი მაისურებით გამართავენ, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში თეთრები მოგვევლინებიან.

პრეზენტაციაზე მუქი ლურჯი მაისურებით ბასტიან შვაინშტაიგერი და ფილიპ ლამი იყვნენ წარმოდგენილნი, ხოლო თეთრებში ლუკაშ პოდოლსკი და ტიმ ბოროვსკი გახლდნენ გამოწყობილნი.

„უბრალოდ, ფანტასტიკური ფორმაა“ — მოკლედ აღნიშნა პოდოლსკიმ.

ფილიპ ლამი: „განსაკუთრებული ფორმაა. ასეთი ფერების შეხამების მაისურით ჯერ არასდროს მითამაშია“.

საგარეო მაისურები „Dank Navy“ ანუ ყველაზე მუქი ლურჯია. ასე რომ, „ბაიერნის“ ქომაგებს შეუძლიათ, მშვიდად იყვნენ, ამ ახალ მაისურებს არანაირი საერთო არ აქვთ თანაქალაქელისა და მტრის, „მიუნხენის“ ცისფერ ამუნიციასთან“.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი — მიუნხენელთა მაისურაზე მეოთხე ვარსკვლავი გაჩნდა. ეს პატივი „ბაიერნს“ გასულ სეზონში ბუნდესლიგის მეოცედ მოგების შემდეგ ერგო. სულ ბავარიელები 21-გზის ჩემპიონები არიან, მაგრამ პირველად ისინი ბუნდესლიგის დაარსებამდე გაჩემპიონდნენ.

„ოთხი ვარსკვლავით ძალიან ვამაყობთ. არ მჯერა, რომ რომელიმე ჩვენი კონკურენტი უახლოეს ათ წელიწადში მესამე ვარსკვლავის მიღებას შეძლებს, მეოთხეზე რომ აღარაფერი ვთქვათ“ — განაცხადა „ბაიერნის“ მმართველმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ.

**გიორგი ძაძამიძე**

# მესამე განელი ლიონში

**განის** ეროვნული ნაკრების კაპიტანი ჯონ მენსა მესამე განელი ფეხბურთელი იქნება, რომელსაც ოდესმე „ლიონის“ მაისურით უთამაშია. აქამდე ეს პატივი აბედი პელესა და მიკაელ ესიენს ხვდა წილად.

25 წლის ცენტრალური მცველით ინგლისური „პორტსმუთი“ და „უიგანიც“ იყვნენ დაინტერესებულნი, მაგრამ აფრიკელმა მაინც საფრანგეთის ჩემპიონები აირჩია, რომლებსაც მისი ტრანსფერი 8,4 მილიონი ევრო დაუჯდათ.

„მე რამდენიმე შემოთავაზება მქონდა, უმეტესწილად ინგლისური კლუბებიდან, მაგრამ ჩემი აგენტის რჩევით, მაინც „ლიონში“ გადავედი“ — განაცხადა მენსამ.

მენსამ აღტაცება გამოხატა იმ ფაქტით, რომ ჟუნინიოს და ბენზემას გვერდით მოუწევს თამაში.

„ეს ადვილი არ იქნება, მაგრამ შევეცდები, თავი საუკეთესოდ გამოვავლინო“ — თქვა მენსამ.

რაც შეეხება „ლიონის“ თავკაც კლოდ პიუელს, მან საქებარი სიტყვები არ დაიშურა ახალი შეგირდის მიმართ და საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მცველადაც კი გამოაცხადა: „ის სწრაფი და ფეთქებადია და საფრანგეთის ჩემპიონატში, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესოა“ — აღნიშნა ფრანგმა სპეციალისტმა.

მენსა დაცვის ხაზში ბრაზილიელ კრისს და ფრანგ ჟან-ალენ ბუმსონგს შეუერთდება.

**არჩილ ძოგახიძე**




ჯონ მენსა

# ადვოკატი: რონალდო? რატომაც არა




რონალდოს ევროკარიერა პსვ-ში დაიწყო

**უეფას** თასის მოქმედი მფლობელის, სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის“ მთავარმა მწვრთნელმა დიკ ადვოკატმა გუნდის სამომავლო გეგმებზე ილაპარაკა და იმედი გამოთქვა, რომ კლუბი მალე ახალ ფეხბურთელებს დაიმატებს.

„თქვენსავით მეც ძალიან მინდა, ვიცოდე, როდის განვახორციელებთ ტრანსფერებს ამ ზაფხულს. იმედია, ეს მალე მოხდება და გავძლიერდებით. ხელმძღვანელობამ ჩემი აზრი იცის, ვნახოთ... 2-3 კარგი მოთამაშე ნამდვილად დაგვჭირდება და გამოგვადგება“ — თქვა ჰოლანდიელმა სპეციალისტმა.

მიმდინარე სეზონში „ზენიტი“ ჯერჯერობით არცთუ დამაჯერებლად გამოიყურება. რუსეთის ჩემპიონატში კლუბს 11 მატჩი აქვს ჩატარებული და აქედან მხოლოდ 4 მოგებით დაიკვეხნის. 4-ჯერ სანკტპეტერბურგელებმა ფრედ ითამაშეს, 2-ჯერ კი დამარცხდნენ. ადვოკატიც შემადგენლობის გადახალისებას აუცილებლად მიიჩნევს.

უკვე საკმაო ხანია, საუბრობენ რონალდოს „ზენიტში“ შესაძლო გადასვლაზე. როგორც იცით, ბრაზილიელი ახლა მუხლის სერიოზულ ტრავმას მკურნალობს და კიდევ რამდენიმე თვე მინდორს ვერ დაუბრუნდება. მას „მილანთან“ კონტრაქტის ვადა ამოეწურა და ამჟამად თავისუფალი აგენტია. ნაკლებ სავარაუდოა, „როსონერიმ“ ბრაზილიელს ახალი შეთანხმება გაუფორმოს. მისი მთავარი მსურველი ახლა პსვ-ა.

„რონალდომ ახლა, უპირველესად, საკუთარ ჯანმრთელობაზე უნდა იფიქროს. პსვ-ში მას კარგად იცნობენ, ეს ხომ რონალდოს პირველი ევროპული კლუბია. ეინდჰოვენელებში კი ჯერ კიდევ ჩემ დროს თამაშობდა. თუმცა იმაზე ლაპარაკი, თუ სად გააგრძელებს კარიერას რონალდო, ძალიან ნაადრევად მეჩვენება. ამავე დროს, ვერ ვიტყვი, რომ ის არ მაინტერესებს, მაგრამ მთავარია, მუხლი რაც შეიძლება მალე მოირჩინოს და ფორმა აღიდგინოს“ — დასძინა ადვოკატმა.

**კოკი ძანძალაძე**

# კაჭკაჭებს მაკგიდი მოუნდათ

**პრემიერლიგის** „ნიუკასლმა“ 5 მილიონი გირვანქა და დამატებით შარლ ნზოგბია შესთავაზა გლაზგოს „სელტიკს“ მის ნახევარმცველ აიდენ მაკგიდიში, რომელმაც გასულ კვირას ახალი, 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა „სელტიკთან“. მაკგიდი წინა სეზონში „სელტიკის“ საუკეთესო ფეხბურთელადაც კი დაასახელეს.

# სანჩესი დაბრუნდა

**სერია A-ს** „უდინეზეს“ ჩილელი ნახევარმცველი ალექსის სანჩესი დაუბრუნდა, რომელიც ორი წლით განათხოვრებული იყო სამხრეთ ამერიკის კლუბებში — მშობლიურ „კოლო კოლოში“ და არგენტინულ „რივერ პლეიტში“.

„მოხარული ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს „უდინეზეში“ დავბრუნდი. მინდა, ბევრი ვივარჯიშო, რათა მოედანზე ჩემი შესაძლებლობების დემონსტრირება შევძლო“ — განაცხადა 19 წლის სანჩესმა, რომელიც „ფრიულიზე“ 2006 წელს მშობლიური „კობრელოადან“ გადმოვიდა.

# ოლივერა ჯენოას უახლოვდება

**ტურინის** „იუვენტუსის“ ნახევარმცველმა რუბენ ოლივერამ ნახევარი სეზონი ურუგვაის „პენიაროლში“ იჯარით გაატარა, ახლა კი „ჯენოაში“ გადასვლასთანაა ახლოს. როგორც გენუელთა ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, ოლივერა და მისი აგენტი უახლოეს მომავალში იტალიაში ჩაფრინდებიან და „ჯენოას“ ხელმძღვანელობასთან კონტრაქტის პირობებს შეათანხმებენ. შემდეგ კი, თუ ყველაფერი კარგად წარიმართება, ფეხბურთელი კლუბს ავსტრიაში შეუერთდება. იქ „ჯენოა“ წინასასეზონო მზადებას გადის.

# გლები არშავინს აჩქარებას ურჩევს

**კატალონიური** „ბარსელონას“ ახალწვეულმა ბელარუსმა ალექსანდრ გლებმა განაცხადა, რომ ანდრეი არშავინის „ბარსაში“ გადასვლის მომხრეა.

„მე პროფესიონალი გახლავართ და მზად ვარ, ნებისმიერი ფეხბურთელის გვერდიგვერდ ვითამაშო, ვინც ჩემს კლუბში აღმოჩნდება. ანდრეის კი ვურჩევ, სწრაფად მოაგვაროს თავისი სატრანსფერო პრობლემები“ — თქვა გლებმა.

# დელ ორნომ ემერი შეაქო

**ერთწლიანი** იჯარიდან დაბრუნდა „ვალენსიას“ მცველი ასიერ დელ ორნო, რომელიც ერთიხანობა „ჩელსის“ შემადგენლობაში გამოდიოდა. ასიერმა კმაყოფილება გამოთქვა „ღამურების“ ახალი დამრიგებლის უნაი ემერის მიერ გაწეული სეზონისწინა სამუშაოთი:

„ემერი ისეთი მწვრთნელების რიცხვში შედის, რომელთაც შემტევი ფეხბურთის თამაში ურჩევნიათ. ყველა ჩემი მწვრთნელი, ვისთანაც კი მიმუშავია, აქცენტს დაცვაზე აკეთებდა, მე კი უფრო შემტევი ფეხბურთის მოყვარული ვარ“ — აღნიშნა დელ ორნომ.

# კინს ტაინიო უნდა

**ლონდონის** „ტოტენჰემის“ ნახევარმცველი ტეემუ ტაინიო იმ ფეხბურთელების სიას მიემატა, რომლებიც ამ ზაფხულს, სავარაუდოდ, „უაით ჰარტ ლეინს“ დატოვებენ. „დეზებმა“ უკვე დააყენეს ტრანსფერზე პასკალ შიმბონდა, სტიდ მალბრანკი და იუნეს ქაბული. ტაინიოთი კი „სანდერლენდია“ დაინტერესებული. ფინელი ფეხბურთელი უკვე შეხვდა „შავი კატების“ დამრიგებელ როი კინს.

„რა თქმა უნდა, მეამაყება, რომ ისეთ ფეხბურთელს, როგორიც როი კინია, თავის კლუბში ჩემი ხილვა სურს. ვფიქრობ, „სანდერლენდი“ კარგი არჩევანია, თუმც შეთანხმება ჯერ არ შემდგარა და მოლაპარაკება კიდევ მიმდინარეობს“ — განაცხადა ფინეთის ნაკრების ნახევარმცველმა.

# სიცილიური ტრაგედია

**სიცილიური** „მესინა“ ახალ სეზონს სამოყვარულო სერია D-ში დაიწყებს. მესინელები 2006-2007 წლებში სერია A-ში გამოდიოდნენ და ბოლო, მე-20 საფეხურზე დაასრულეს ჩემპიონატი, რის შემდეგაც სერია B-ში დაქვეითდნენ, სადაც გასული სეზონი ცხრილის შუაში დაასრულეს, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო 14 ივლისს „მესინას“ სერია B-დან გარიცხვა გადაწყდა. გაკოტრებული სიცილიელები ვერც სერია C-ში გაჩერდნენ და მხოლოდ სამოყვარულო სერია D-ში ამოყვეს თავი, სადაც იუკვე გამოდიოდნენ 1993-94 წლებში.

# რონალდუ ჯერაც არ იყიდება

**„მანჩესტერ იუნაიტედის“** აღმასრულებელმა დირექტორმა დევიდ გილმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ინგლისური კლუბი არ აპირებს კრიშტიანუ რონალდუს გასხვისებას.

„პირველივე დღიდან ნათლად განვმარტეთ, ესპანელებისგან შეთავაზებას არ მივიღებდით. რა თქმა უნდა, პრესაში დიდი სპეკულაცია იყო რონალდუსთნ დაკავშირებით, თუმც კლუბს მყარი პოზიცია უკავია. რონალდუ „მანჩესტერისთვის“ ძვირფასი მოთამაშეა და ჩვენ არ ვაპირებთ მის გაშვებას“ — თქვა გილმა.

**არჩილ ძოგახიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ავსტრია. ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 25 ივლისი | | | | | | |
| 22:30 | 50 | ლინცერი-ავსტრია კერნტენი | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| | | 26 ივლისი | | | | | | |
| 21:30 | 52 | აუსტრია-რიდი | 1.55 | 3.60 | 5.35 | 1.08 | 1.20 | 2.15 |
| 21:30 | 53 | მატერსბურგი-რაპიდი | 2.55 | 3.10 | 2.55 | 1.39 | 1.27 | 1.39 |
| | | 27 ივლისი | | | | | | |
| 19:00 | 54 | კაფენბერგი-ზალცბურგი | 4.70 | 3.50 | 1.65 | 2.00 | 1.22 | 1.12 |
| | | შვეიცარია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 24 ივლისი | | | | | | |
| 21:45 | 64 | სიონი-იანგ ბოიზი | 2.75 | 3.20 | 2.40 | 1.47 | 1.28 | 1.37 |
| 21:45 | 65 | ვადუცი-აარაუ | 2.40 | 3.10 | 2.80 | 1.35 | 1.29 | 1.47 |
| | | პოლონეთი. I ლიგა | | | | | | |
| | | 25 ივლისი | | | | | | |
| 22:15 | 248 | ვისლა-რუხი | 1.20 | 5.75 | 10.00 | 1.00 | 1,07 | 3.65 |
| | | 26 ივლისი | | | | | | |
| 20:00 | 250 | იაგელონია-კრაკოვია | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 22:00 | 252 | ლოძი-სლასკი | 2.75 | 3.20 | 2.30 | 1.47 | 1.25 | 1.33 |
| | | 27 ივლისი | | | | | | |
| 17:00 | 253 | გურნიკი-ბელხატუვი | 1.85 | 3.20 | 3.90 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| 19:00 | 254 | ლეხი-ოდრა | 1.25 | 5.00 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.21 |
| | | დანია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 26 ივლისი | | | | | | |
| 19:00 | 99 | ბრიონდბიუ-ოლბორგი | 1.95 | 3.40 | 3.60 | 1.23 | 1.26 | 1.74 |
| | | 27 ივლისი | | | | | | |
| 16:00 | 100 | ესბიერგი-ვეილე | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| 18:00 | 102 | სიონდერიისკე-მიდტიულანდი | 6.50 | 3.70 | 1.45 | 2.35 | 1.18 | 1.04 |
| 19:30 | 104 | რანდერსი-კოპენჰაგენი | 3.50 | 3.40 | 1.85 | 1.72 | 1.21 | 1.19 |
| | | 28 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 101 | ორჰუსი-ჰორსენსი | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 26 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 111 | ფრედრიკსტადი-ბრანი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| | | 27 ივლისი | | | | | | |
| 20:00 | 107 | სტრიომსგოდსეტი-მოლდე | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 20:00 | 108 | ბოდიო გლიმტი-ლინი | 2.30 | 3.20 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |
| 20:00 | 109 | ჰამ კამი-ლილესტრიომი | 2.55 | 3.10 | 2.55 | 1.39 | 1.27 | 1.39 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 110 | ალესუნდი-ვიკინგი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| | | 28 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 113 | ვოლერენგა-ტრომსიო | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| | | ნორვეგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 26 ივლისი | | | | | | |
| 18:00 | 116 | სოგნდალი-სტარტი | 2.95 | 3.40 | 2.25 | 1.57 | 1.27 | 1.35 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 26 ივლისი | | | | | | |
| 18:00 | 126 | გეფლე-გიოტებორგი | 3.20 | 3.20 | 2.05 | 1.60 | 1.24 | 1.24 |
| 19:00 | 127 | ჰალმსტადი-ტრელებორგი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| | | 27 ივლისი | | | | | | |
| 20:00 | 128 | იურგორდენი-ჰელსინგბორგი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 20:00 | 129 | მალმიო-კალმარი | 2.55 | 3.10 | 2.55 | 1.39 | 1.27 | 1.39 |
| | | 28 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 130 | აიკ-ლიუნგსკილე | 1.35 | 4.00 | 8.00 | 1.00 | 1.15 | 2.66 |
| 22:00 | 131 | იორებრო-ჰამარბი | 2.75 | 3.20 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| 21:00 | 132 | გაის-სუნდსვალი | 1.85 | 3.20 | 3.85 | 1.17 | 1.24 | 1.74 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 26 ივლისი | | | | | | |
| 18:00 | 255 | დეგერფორსი-ვესბი | 2.10 | 3.40 | 3.00 | 1.29 | 1.23 | 1.59 |
| | | ფინეთი. ვაიკაუსლიგა | | | | | | |
| | | 26 ივლისი | | | | | | |
| 17:00 | 135 | იარო-ტამპერე | 3.00 | 3.20 | 2.15 | 1.54 | 1.25 | 1.28 |
| | | 27 ივლისი | | | | | | |
| 19:30 | 136 | მიუპა-ჰონკა | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 19:30 | 137 | ჰიკ-მარიეჰამნი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 19:30 | 138 | ჰაკა-ვპს | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 19:30 | 139 | როვანიემი-ინტერი | 3.00 | 3.20 | 2.15 | 1.54 | 1.25 | 1.28 |
| | | ბრაზილია. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 25 ივლისი | | | | | | |
| 03:30 | 187 | პალმეირასი-სანტოსი | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 03:30 | 188 | ფიგეირენსე-გრემიო | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 03:30 | 189 | სპორტ რისიფე-ატლეტიკო პრ | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| | | ნორვეგია. თასი | | | | | | |
| | | 24 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 24 | ტრომსიო-ვოლერენგა | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10024 | ტრომსიო-ვოლერენგა | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10064 | სიონი-იანგ ბოიზი | 3.15 | 2.00 | 2.80 | 1.22 | 1.48 | 1.16 |
| 10065 | ვადუცი-აარაუ | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10050 | ლინცერი-ავსტრია კერნტენი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10052 | აუსტრია-რიდი | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10053 | მატერსბურგი-რაპიდი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10099 | ბრიონდბიუ-ოლბორგი | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10111 | ფრედრიკსტადი-ბრანი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10126 | გეფლე-გიოტებორგი | 3.60 | 2.00 | 2.40 | 1.28 | 1.44 | 1.09 |
| 10127 | ჰალმსტადი-ტრელებორგი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10054 | კაფენბერგი-ზალცბურგი | 5.10 | 2.10 | 2.05 | 1.48 | 1.46 | 1.03 |
| 10100 | ესბიერგი-ვეილე | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10102 | სიონდერიისკე-მიდტიულანდი | 5.50 | 2.10 | 1.80 | 1.51 | 1.35 | 1.00 |
| 10104 | რანდერსი-კოპენჰაგენი | 3.90 | 2.00 | 2.25 | 1.32 | 1.42 | 1.05 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15024 | ტრომსიო-ვოლერენგა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15064 | სიონი-იანგ ბოიზი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15065 | ვადუცი-აარაუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15050 | ლინცერი-ავსტრია კერნტენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15052 | აუსტრია-რიდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15053 | მატერსბურგი-რაპიდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15099 | ბრიონდბიუ-ოლბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15111 | ფრედრიკსტადი-ბრანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15126 | გეფლე-გიოტებორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15127 | ჰალმსტადი-ტრელებორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15054 | კაფენბერგი-ზალცბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15100 | ესბიერგი-ვეილე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15102 | სიონდერიისკე-მიდტიულანდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15104 | რანდერსი-კოპენჰაგენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11024 | ტრომსიო-ვოლერენგა | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11064 | სიონი-იანგ ბოიზი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11065 | ვადუცი-აარაუ | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11050 | ლინცერი-ავსტრია კერნტენი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11052 | აუსტრია-რიდი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11053 | მატერსბურგი-რაპიდი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11099 | ბრიონდბიუ-ოლბორგი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11111 | ფრედრიკსტადი-ბრანი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11126 | გეფლე-გიოტებორგი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11127 | ჰალმსტადი-ტრელებორგი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11054 | კაფენბერგი-ზალცბურგი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11100 | ესბიერგი-ვეილე | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11102 | სიონდერიისკე-მიდტიულანდი | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11104 | რანდერსი-კოპენჰაგენი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |

## ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16024 | ტრომსიო-ვოლერენგა | 1.55 | 2.20 |
| 16064 | სიონი-იანგ ბოიზი | 1.95 | 1.65 |
| 16065 | ვადუცი-აარაუ | 1.70 | 1.95 |
| 16050 | ლინცერი-ავსტრია კერნტენი | 1.23 | 3.60 |
| 16052 | აუსტრია-რიდი | 1.17 | 4.10 |
| 16053 | მატერსბურგი-რაპიდი | 1.80 | 1.85 |
| 16099 | ბრიონდბიუ-ოლბორგი | 1.38 | 2.65 |
| 16111 | ფრედრიკსტადი-ბრანი | 1.62 | 2.05 |
| 16126 | გეფლე-გიოტებორგი | 2.20 | 1.50 |
| 16127 | ჰალმსტადი-ტრელებორგი | 1.25 | 3.40 |
| 16054 | კაფენბერგი-ზალცბურგი | 3.30 | 1.25 |
| 16100 | ესბიერგი-ვეილე | 1.23 | 3.60 |
| 16102 | სიონდერიისკე-მიდტიულანდი | 4.20 | 1.15 |
| 16104 | რანდერსი-კოპენჰაგენი | 2.40 | 1.45 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17024 | ტრომსიო-ვოლერენგა | 1.85 | 1.95 |
| 17064 | სიონი-იანგ ბოიზი | 1.85 | 1.95 |
| 17065 | ვადუცი-აარაუ | 1.85 | 1.95 |
| 17050 | ლინცერი-ავსტრია კერნტენი | 1.85 | 1.95 |
| 17052 | აუსტრია-რიდი | 1.85 | 1.95 |
| 17053 | მატერსბურგი-რაპიდი | 1.85 | 1.95 |
| 17099 | ბრიონდბიუ-ოლბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17111 | ფრედრიკსტადი-ბრანი | 1.85 | 1.95 |
| 17126 | გეფლე-გიოტებორგი | 1.85 | 1.95 |
| 17127 | ჰალმსტადი-ტრელებორგი | 1.85 | 1.95 |
| 17054 | კაფენბერგი-ზალცბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17100 | ესბიერგი-ვეილე | 1.85 | 1.95 |
| 17102 | სიონდერიისკე-მიდტიულანდი | 1.85 | 1.95 |
| 17104 | რანდერსი-კოპენჰაგენი | 1.85 | 1.95 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14024 | ტრომსიო-ვოლერენგა | 1.80 | 2.00 |
| 14064 | სიონი-იანგ ბოიზი | 1.95 | 1.85 |
| 14065 | ვადუცი-აარაუ | 1.85 | 1.95 |
| 14050 | ლინცერი-ავსტრია კერნტენი | 1.45 | 2.40 |
| 14052 | აუსტრია-რიდი | 1.30 | 2.50 |
| 14053 | მატერსბურგი-რაპიდი | 1.90 | 1.90 |
| 14099 | ბრიონდბიუ-ოლბორგი | 1.70 | 2.20 |
| 14111 | ფრედრიკსტადი-ბრანი | 1.80 | 2.00 |
| 14126 | გეფლე-გიოტებორგი | 2.10 | 1.75 |
| 14127 | ჰალმსტადი-ტრელებორგი | 1.45 | 2.40 |
| 14054 | კაფენბერგი-ზალცბურგი | 2.40 | 1.45 |
| 14100 | ესბიერგი-ვეილე | 1.45 | 2.40 |
| 14102 | სიონდერიისკე-მიდტიულანდი | 2.60 | 1.20 |
| 14104 | რანდერსი-კოპენჰაგენი | 2.30 | 1.65 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|---|
| 12024 | ტრომსიო-ვოლერენგა | 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12064 | სიონი-იანგ ბოიზი | 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12065 | ვადუცი-აარაუ | 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12050 | ლინცერი-ავსტრია კერნტენი | 2,5 | 1.80 | 1.80 |
| 12052 | აუსტრია-რიდი | 2,5 | 1.80 | 1.90 |
| 12053 | მატერსბურგი-რაპიდი | 2,5 | 1.90 | 1.80 |
| 12099 | ბრიონდბიუ-ოლბორგი | 2,5 | 1.90 | 1.80 |
| 12255 | დეგერფორსი-ვესბი | 2,5 | 1.80 | 1.80 |
| 12054 | კაფენბერგი-ზალცბურგი | 2,5 | 2.20 | 1.50 |
| 12100 | ესბიერგი-ვეილე | 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12102 | სიონდერიისკე-მიდტიულანდი | 2,5 | 2.10 | 1.60 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**






დუბაიში მშენებარე სპორტული კომპლექსის მაკეტი და ჰანოვერის 50 ათასიანი „AWB-არენა"

# საად ვთამაშობთ?!

**საქართველოს** შვიდკაცა ნაკრებმა გერმანულ ჰანოვერში, ევროპის სერიის ფინალურ ეტაპზე მესამე ადგილი რომ დაიკავა და გაისად დუბაიში გასამართ მსოფლიოს თასის საგზური მოიპოვა, ძველი ამბავია.

ახალი ამბავი კი ისაა, რომ არაბები საამტურნიროდ სერიოზულად ემზადებიან, სპეციალურად შვიდკაცა რაგბის მსოფლიოს თასისთვის ახალ ზეთანამედროვე სარბიელს აშენებენ.

სანამ დუბაის ახალ საოცრებაზე ვიტყოდეთ, ვთქვათ, რომ ევროპული შვიდკაცას ეტაპები, მათ შორის თბილისშიც მაყურებელთა დასწრებით და მითუფრო სამასპინძლო სტადიონებით ვერ დაიკვეხნიან. აი, ევროპული სერიის ფინალური ეტაპმა კი, რომელიც როგორც ვთქვით გერმანულ ჰანოვერში ჩატარდა, ლამის ყველა ევრორეკორდი მოხსნა.

გერმანელებმა, რომელთა ეროვნული ნაკრები რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) მსოფლიო რეიტინგში 25-ე ადგილზეა, ევროშვიდკაცობას ჰანოვერის 50-ათასიან „AWB არენაზე" უმასპინძლეს და ორ დღეში 25-ათასი ბილეთი გაყიდეს! ცნობისთვის, თბილისის შვიდკაცაზე დასწრება უფასო იყო, მაგრამ ორდღიან ტურნირს, მხოლოდ ჟურნალისტებმა, ჩვენი რაგბის კავშირის ხელმძღვანელებმა, სტუმარ-მასპინძელი ნაკრებების მორაგბეებმა, მათმა ძმაბიჭებმა უყურეს. ანუ, თბილისის შვიდკაცას მიუხედავად უფასო დასწრებისა ორი დღის მანძილზე ჰა-ჰა ორასმა კაცმა უქომაგა. მოდით ეს თემა ახლა უკომენტაროდ დავტოვოთ და დუბაის მშენებარე სტადიონს დავუბრუნდეთ.

დუბაიში, სადაც ნავთობის ჭაბურღილები ისეა, როგორც ჩვენში ჭები, ფული ჩეჩქვივით მიდის. მაგრამ ერთია ბითუმად გქონდეს ფული და მეორე როგორ დახარჯავ ამ „შავ ოქროს". ადგნენ ის ჩვენი არაბები, რომელთა ნაკრები IRB-ის რეიტინგში 51-ე ადგილზეა და მსოფლიოს თასზე მოხვედრის მინიმუმ ოცწლიანი ოცნება აქვთ და ფული ისევ რაგბიში ჩადეს.

ახალი სპორტული კომპლექსის მშენებლობა მსოფლიოში ერთ-ერთმა უმსხვილესმა ავია კომპანიამ „ემირატების ავიახაზებმა" და დუბაის მთავრობამ იკისრეს. სხვათაშორის სწორედ „ემირატების ავიახაზები" არის მსოფლიო ეტაპების გენერალური სპონსორი და შვიდკაცა რაგბი უკვე არაბულ ფულთან ასოცირდება.

მშენებარე კომპლექსი საბოლოო სახეს 2009 წელს მიიღებს, თუმცა იქამდე მსოფლიო სერიის ერთ ეტაპს და მსოფლიოს თასს უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრები ორივეგან ითამაშებს.

ახლა კი ამ საოცრებაზეც ვთქვათ. ცენტრალურ სტადიონის საფარი საგანგებოდ ინგლისიდან ჩაიტანეს, სტადიონის გარშემო კი ოთხი ძირითადი ტრიბუნა განთავსდება, საჭიროების შემთხვევაში კი მოძრავი ტრიბუნები დაემატება და სარბიელი 50 ათას კაცს დაიტევს.

ძირითადი მოედნის გარდა, კომპლექსში განთავსდება ოთხი სათადარიგო და ორი სავარჯიშო მოედანი, სტადიონიდან 30 მეტრის რადიუსში იქნება კვების ობიექტები, გასართობი ცენტრები და ბადმინტონის და ჩოგბურთის კორტები. იქვეა ღია და საცურაო აუზები და სატრენაჟორო და ფიტნეს დარბაზი.

რაგბის გარდა, იქ გაიმართება ფეხბურთის, კალათბურთის და კრიკეტის მატჩები. იქვე შენდება 80 მეტრი სიგრძის ორსართულიანი ოფისი, სადაც არაბეთის გაერთიანებული საემიროების რაგბის კავშირი და სხვა სპორტული ფედერაციების ოფისები განთავსდება.

ერთი სიტყვით, უკომენტაროდ...

**ბაჩო სვანიძე**

# ლამული მსაჯებს გაგვიმრავლებს




**დღეს** საქართველოს რაგბის კავშირს საპატიო სტუმარი ჩამოუდის. ხუთდღიანი საქმიანი ვიზიტით თბილისში რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) მსაჯთა მეთვალყურე ფრანგი მიშელ ლამული ჩამოდის.

ლამული მსოფლიო სარაგბო სამყაროში ცნობილი ექსპერტია. ბოლო პერიოდში სწორედ ლამულს ანდობენ სამხრეთ ნახევარსფეროს უმთავრესი საკლუბო და სანაკრებო ტურნირების ზე-14-ის და სამი ერის მსაჯთა შეფასება-კოორდინირებას. იქამდე კი ლამული ევროპის რაგბის ასოციაციის (FIRA-AER) მსაჯთა კოორდინატორი იყო, და როგორც მატჩის კომისარი ჩვენი ნაკრების საშინაო მატჩებზე რამდენჯერმე ჩამოსულა.

ამჯერად ლამულის ვიზიტი ჩვენში მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლებას უკავშირდება. ხუთ დღეში ფრანგი სპეციალისტი უმაღლესი და პირველი ლიგის მწვრთნელებს შეხვდება, რომ რაგბიში აგვისტოდან შემოსატანი ახალი წესების რაობა აუხსნას. ლამული შეხვდება მატჩების კომისარებსაც, რომ მათ თავისი გამოცდილება გაუზიაროს, ხოლო ვიზიტის ბოლოს ქართველ მსაჯებს სემინარებს ჩაუტარებს.

ლამულის მსმენელი 15 ქართველი მსაჯი იქნება. სემინარების მსმენელები და მერე კურსდამთავრებულები კი მეორე კატეგორიის მსაჯის სერთიფიკატს მიიღებენ, რაც მათ საშუალებას მისცემს ახალგაზრდულ ნაკრებების დონეზე საერთაშორისო მატჩები იმსაჯონ. ასეთი დონის მსაჯები კი ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ ორი გვყავს: უჩა ნარიმანიძე და ნოდარ რობიტაშვილი.

**ბაჩო სვანიძე**

## თვალ თვალი



ფრანგულ ყაზარმაში გადაღებული ეს სახალისო ფოტო ოდნავ კი მოძველდა, მაგრამ მაინც საინტერესოა...
საქართველოს ნაკრების და ფრანგული „კლერმონის" ბურჯის უკან სამხრეთ აფრიკის ნაკრების კაპიტანი და მსოფლიო ჩემპიონი ჯონ სმიტი დგას.
სმიტი და ზირაქაშვილი საფრანგეთის ჩემპიონატში „კლერმონის" შერკინებას ხელგადახვეულები ამაგრებენ.
ახლა კი, მათი გზები გაიყო...
„ზირაქა" „კლერმონში" დარჩა, სმიტს კონტრაქტი დაუმთავრდა და მშობლიურ „შარქს" დაუბრუნდა.
ჯონ სმიტმა წლევანდელ სამერზეც მოასწრო თამაში, თუმც ახალზელანდიელებმა დაამტვრიეს და მსოფლიო ჩემპიონთა კაპიტანი ნატკენ მხარს საკუთარ სახლში იშუშებს. დავით ზირაქაშვილი კი „კლერმონთან" ერთად მომავალი სეზონისთვის ემზადება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კორეული ბიზნესი ქართული ტაეკვანდოს სამსახურში

**საქართველოს** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში ტაეკვანდოს ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა ჩატარდა.

დღის წესრიგში ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები იდგა. სხდომაზე გამოცხადებულმა თხუთმეტივე დელეგატმა მხარი კომპანია „ალგორითმის" პრეზიდენტ გიორგი კორახაშვილს დაუჭირა. კორახაშვილის წინამორბედი ავთანდილ მიქაძე იყო.

მოგეხსენებათ, ტაეკვანდო ოლიმპიური სახეობაა. ჩვენები აგერ უკვე მეოთხე ზაფხულის ოლიმპიადაა, რაც საქართველო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, ისე მონაწილეებს, მაგრამ ოლიმპიადებზე ტაეკვანდოში ლიცენზიანტი ჯერ არ გვყოლია.

ახალი პრეზიდენტი კი ჰპირდება ქართული სპორტის გულშემატკივრებს, რომ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რათა 2014 წლის ლონდონის ოლიმპიადაზე ჩვენი ტაეკვანდოისტებიც მოხვდნენ. ამ მიზნის მისაღწევად იგი პირადი კავშირების გამოყენებასაც აპირებს. „ალგორითმი" ხომ „ელ ჯის" ოფიციალური დისტრიბუტორია ჩვენს ქვეყანაში, „ელ ჯი" კი კორეული ფირმაა, ამიტომ ბიზნესკავშირები შეიძლება, სპორტსაც გამოადგეს.

**ზურაბ მიზრიაული**











# წყვილად წაგებული დღე
## ცაგურია მინუსია, გორგაძე პლუსი

**ივლისის** ბაშოს სუპერტურნირის გუშინდელი დღე მარცხიანი გამოდგა ორივე ქართველი ფალავნისთვის. ლევან ცაგურიამ, იმავე კოკაიმ და ტოჩინოშინად წოდებულმა ლევან გორგაძემ წყვილად წააგეს.

მე-10 მაეგაშირას წოდებით მოჭიდავე კოკაიმ თავისზე ექვსი საფეხურით დაბლა მდგომ, აღმოსავლეთის მე-16 მაეგაშირა მასაცეკასასთან ილეთით წააგო, ხოლო დასავლეთის მე-14 მაეგაშირა ტოჩინოშინი წოდებით მასზე მაღლა მდგომ მე-12 მაეგაშირა ტაკეკაძესთან დამარცხდა.

კოკაის საქმე ძალიან ცუდადაა. მაისის ბაშო ჩვენმა ფალავანმა უარყოფითი ბალანსით რომ დაასრულა, პირველიდან მე-10 მაეგაშირამდე დაქვეითდა და ახლაც ძალიან ახლოა კიდევ უფრო დაქვეითებასთან.

კოკაის ბალანსი 4 მოგება და 7 წაგებაა. იმისთვის, რომ ლევან ცაგურიამ დადებითი ბალანსი მოიპოვოს და წოდებაში არ დაქვეითდეს, დარჩენილი ოთხი ბრძოლიდან ყველა უნდა მოიგოს.

გაცილებით უკეთ აქვს საქმე ტოჩინოშინის. ლევან გორგაძის ბალანსი 6 მოგება და 5 წაგებაა. გორგაძეს მომდევნო მეტოქე მასზე გაცილებით ძლიერი მე-8 მაეგაშირა დეჯიმა იქნება. ხოლო ლევან ცაგურიას მე-6 მაეგაშირა ტოკიტენკუ დაუპირისპირდება. როგორც ვთქვით, კოკაის თუ დადებითი ბალანსი უნდა, წაგების უფლება აღარ აქვს.

ივლისის ბაშოს კი თერთმეტიდან თერთმეტი ბრძოლის მოგებით, უმაღლესი წოდების მქონე იოკოძუნა ჰაკუხო უსტაბაშობს. მონღოლი გოლიათი ჯერაც დაუმარცხებელია, თანაც გუშინ მისი მდევარი სეკივაკე ამა დაამარცხა და თუ დღესაც მოიგებს, „იმპერატორის თასს" ვერავინ შეეცილება.

**ბაჩო სვანიძე**

ჭიდაობა

# ახალგაზრდებს ჩემპიონები ასარჩევად ჰყავთ

15-21 ივლისს სლოვაკეთის ქალაქ კოსიჩეში მოჭიდავეთა შორის ევროპის ჩემპიონატი გაიმართა ახალგაზრდებს შორის, სადაც ჩვენი ფალავნები წარმატებით გამოვიდნენ. თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა 3 ოქროს და 3 ბრინჯაოს მედლით გუნდური პირველი ადგილიც დაიკავეს. ჩემპიონები — ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (50 კგ), გიორგი მაყიშვილი (60 კგ) და თორნიკე სვანიძე (84 კგ) გახდნენ. ბრინჯაოსნები კი — გიორგი მარსაგიშვილი (74 კგ), გიორგი ჩიქოვანი (96 კგ), ლევან ბერიანიძე.




კახა გეწაძე, დავით ნამგალაური და ნუგზარ სხირელი

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა სამი მედალი მოინაგრეს. ჩემპიონობა არავის დაუთმო უჩა შავაძემ (60 კგ). ვერცხლის მედალი რამინ შაქარაშვილმა (120 კგ) დაისაკუთრა, ხოლო ბრინჯაო — არსენ კახაბრიშვილმა (74 კგ). „ანტიკოსებმა" გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილი დაიკავეს. გუშინ ამ ამბავთან დაკავშირებით ფალავანთა კლუბში ჭიდაობის ფედერაციამ პრესკონფერენცია გამართა.

ჟურნალისტებს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი კახა გეწაძე და ორივე ნაკრების თავკაცები ნუგზარ სხირელი (თავისუფლები) და ლადო ადეიშვილი (კლასიკოსები) ესაუბრნენ.

*კახა გეწაძე:* „ყველანი ძალიან გახარებულები ვართ, ჩვენმა ბიჭებმა მორიგ წარმატებას მიაღწიეს. ნაკრებს მშვენიერი პირობები ჰქონდა მოსამზადებლად, მწვრთნელებმაც კარგად იმუშავეს და შედეგიც სახეზეა. როგორც იცით, პრემიერი უკვე ახალგაზრდებსაც გადაეცემათ, ასე რომ, გამარჯვებები აუცილებლად სათანადოდ დაფასდება".

*დავით ნამგალაური:* „ვულოცავ ამ გამარჯვებას ყველას. ასეთი შედეგი არ გვქონია და ეს ფაქტი ძალიან სასიხარულოა. მართალია, ჩვენ მთავარი აქცენტი ოლიმპიადაზე გვაქვს გადატანილი და 50 მილიონი ლარიც დაიხარჯა, მაგრამ ეს ყველაფერი მომავლისთვისაც კეთდება და აუცილებლად წინ დაგვხვდება. მაქსიმალურად ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ არც ერთ ქვეყანას არ ჩამოვრჩეთ, მით უმეტეს, ამის პოტენციალი ნამდვილად არის. უნიჭიერესი თაობა მოდის და ეს ბიჭები მალე დიდ ნაკრებშიც იტყვიან თავიანთ სიტყვას".

*ნუგზარ სხირელი:* „ბიჭებმა ბევრი იშრომეს და შედეგიც მიიღეს. მიუხედავად იმისა, რომ სამი ოქროს და სამი ბრინჯაოს მედალი მოვიპოვეთ ნაკრებში ცვლილებები არ არის გამორიცხული. 29 ივლისს ხომ უკვე სტამბოლში მსოფლიოს ჩემპიონატზე მივდივართ. ისეც შეიძლება მოხდეს, რომ ამ შემადგენლობიდან ევროპის ჩემპიონი ამოვარდეს, რადგან კონკურენცია ძალიან დიდია".

*ლადო ადეიშვილი:* „სპორტის დეპარტამენტისა და ჭიდაობის ფედერაციის კარგმა მუშაობამ შედეგი გამოიღო. უნდა ითქვას, რომ მსაჯების მხრიდანაც არანაირი პრობლემა არ შეგვქმნია და ესეც ფედერაციის დამსახურებაა. ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას და მომავალში უკეთეს შედეგებს მივაღწევთ".

**ლევან მაისურაძე**

ხელბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობაზე დროებით პრეზიდენტად ცნობილი მკლავჭიდელი ზაურ ცხადაძე აირჩიეს. ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტი ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც ყოფილი პრეზიდენტი თამაზ თევზაძე თანამდებობიდან გადადგა. დღეს ქართული ხელბურთი დალხენილ მდგომარეობაში ნამდვილად არ არის, ახალ პრეზიდენტს ბევრი პრობლემის გადაჭრა მოუწევს, ოღონდ ისიც ვთქვათ, რომ ოლიმპიადის მერე ხელბურთის ამქარი კიდევ ერთ რიგგარეშე საანგარიშო ყრილობას ჩაატარებს და ამჯერად პრეზიდენტთან ერთად სხვა ხელმძღვანელ პირებსაც გადაირჩევს...



გიორგი ჟანიშვილის ფოტო

# მიწა თქვენი, ბაზა ჩემი

## ცხადაძე მხარდაჭერას და დროს ითხოვს

ზემოთ ვთქვათ ცხადაძეს ბევრი პრობლემის გადაჭრა მოუწევსო და აქვე დავაკონკრეტოთ: საქართველოს ჩემპიონატი სავალალო მდგომარეობაშია სულ რაღაც ოთხი გუნდი თამაშობს და აქედანაც ორია ისეთი მართლა გუნდს რომ გავს. რეგიონებში მოედნები და სკოლები თითქმის არ არსებობს, არადა სწორედ იქიდან უნდა წამოვიდეს ნაკრები გუნდებისთვის ხელბურთელები. ინფრასტრუქტურაც ცალკე პრობლემაა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეროვნული ნაკრები ბაზის გარეშეა და ზამთარში გაყინულ დარბაზში თამაში უწევს. მოკლედ, პრობლემები ძალიან ბევრია და მათ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

გუშინ *ზაურ ცხადაძეს* ვესაუბრეთ და სწორედ ამ პრობლემების გადაჭრის გზებზე ვკითხეთ. იმითაც დავინტერესდით, თუ რამ გადააწყვეტინა ხელბურთის პირველკაცობა.: მანამდე კი ცხადაძემ თავის სპორტულ ბიოგრაფიაზეც გვიამბო.

— ხელბურთს დაახლოებით შვიდი წელი ვთამაშობდი, გლდანში ჯემალ ცერცვაძის სახელობის დარბაზში მიწევდა ვარჯიში. მერე წონის პრობლემამ საშუალება აღარ მომცა ხელბურთის კარიერა გამეგრძელებინა და ჭიდაობა დავიწყე. ბერძნულ-რომაული სტილით ვჭიდაობდი, საბჭოთა კავშირის პირველობაზეც გამოვსულვარ. პარალელურად უკვე მკლავჭიდშიც ვვარჯიშობდი. ევროპის ჩემპიონატი 9-ჯერ მომიგია, მსოფლიოს ჩემპიონობას კი ნამდვილად ვერ ვითვლი, რადგან ხშირად ორ წონაში ვხდებოდი ჩემპიონი მძიმე და აბსოლუტურში, მე კი ამას ერთად არ ვთვლიდი...

**— რა იყო ის მთავარი ფაქტორი, რამაც ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა გადაგაწყვეტინათ?**

— ჩემი საქმე მაქვს და არ მინდოდა სპორტში მოსვლა. მკლავჭიდელებიც მთხოვდნენ, მაგრამ... ბოლოს კი მაინც გადავწყვიტე და მთავარი ფაქტორი ხელბურთის სიყვარული და ის ნაცნობობა აღმოჩნდა, რაც ხელბურთის სამყაროში მყავს. ძალიან ბევრი მეგობარია ჩემ ირგვლივ ხელბურთში და მათი თხოვნაც იყო.

**— რა იქნება თქვენი პრიორიტეტი, ყველაზე სწრაფად გადასაჭრელი რომელი პრობლემაა?**

— ბავშვთა ხელბურთი მისახედია თუ ახალგაზრდა თაობა არ წამოვიდა, ისე არაფერი გამოვა. სკოლებში ხელბურთი თითქმის არ არსებობს. ბავშვების უმეტესობას ხელბურთის ბურთი რომ აჩვენო, ვერ გეტყვის, რომელი სპორტისაა. არადა, სწორედ აქედან უნდა დაიწყოს ყველაფერი. იგივე შეიძლება ითქვას რეგიონებზეც, დარბაზები თითქმის არ არის, არც სკოლები, სადაც პატარები ივარჯიშებენ.

**— ყველა თანხმდება იმაზე, რომ საქართველოს ჩემპიონატში მხოლოდ ოთხი გუნდის გამოსვლა ძალიან ცუდია და საჭიროა, რომ როგორმე გუნდების რაოდენობა გაიზარდოს, თუ გაქვთ რაიმე გეგმა ამ პრობლემის გადასაჭრელად?**

— ვფიქრობთ და გვინდა, რომ როგორმე კიდევ ორი გუნდი მაინც დაემატოს ჩემპიონატს, თორემ ეს ოთხი მართლაც ძალიან ცოტაა. აქედანაც ხომ რეალურად ორი გუნდი თამაშობს. რამდენიმე ქალაქში ფიქრობენ გუნდის გაკეთებას და ვნახოთ, რა იქნება. ჩვენ ყველანაირად დავეხმარებით. ისე კი, 3-4 წელი მაინც უნდა, რომ საქმე გამოსწორდეს. ძალიან ბევრია დაკარგული და დრო სჭირდება ყველაფრის ანაზღაურებას. ელემენტარულად ხელბურთელთა სიმცირეს ვუჩივით. უფროსი ასაკის და ახალგაზრდა თაობის მოთამაშეებს შორის დიდია წყვეტა, ამიტომაც დროა საჭირო, რომ ახალი თაობა წამოვიდეს.

**— ვიცით, რომ ნაკრებისთვის ბაზის აშენება გინდათ?**

— თუ სახელმწიფო მხარში დამიდგება და საბურთალოზე მიწის ფართს გამომიყოფს, ბაზას ორ წელიწადში ავაშენებ. ადგილიც შერჩეული მაქვს, დელისის მეტროსთან ახლოს საბაგირო ტერიტორიაზე. ნახევარ ჰექტარ ფართზე კეთილმოწყობილ დარბაზს ავაშენებ და ნაკრებს პრობლემა აღარ შეექმნება. იქ ყველა პირობა იქნება შექმნილი სავარჯიშოდ და სათამაშოდ. იმაზე აღარაა ლაპარაკი, რომ ბიჭებს გაყინულ დარბაზში ვარჯიში არ მოუწევთ.

**ლევსო მაისურაძე**

## საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის განცხადება

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს მოწვეულია სეოკ-ის საანგარიშო-საარჩევნო სესია.

სეოკ-ის ამჟამად მოქმედი წესდების შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად ასარჩევი კანდიდატურის დასახელება შეუძლია სეოკ-ის აღმასკომს, სპორტის ოლიმპიურ სახეობათა ფედერაციებს თავიანთი არჩევითი ხელმძღვანელი ორგანოების მეშვეობით, ოლიმპიურ აკადემიას, სეოკ-ის მიერ აღიარებულ ფიზკულტურულ-სპორტულ საზოგადოებებსა და ასოციაციებს, აგრეთვე გამონაკლისის შემთხვევაში სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობაში როგორც სპორტული კარიერის, ასევე მისი დამთავრების შემდეგ, განსაკუთრებული დამსახურების მქონე ცალკეულ ფიზიკურ პირებს.

სათანადოდ გაფორმებული განცხადება სეოკ-ის პრეზიდენტად ასარჩევი კანდიდატურის შესახებ იგზავნება საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში საანგარიშო-საარჩევნო სესიის ჩატარებამდე არანაკლებ ორი თვით ადრე მაინც, ანუ არაუგვიანეს 2008 წლის 31 აგვისტომდე.

# უკრაინულ ერთეულში შაფათავა შემორჩა

**ხარკოვში** დაწყებულ 25-ათასიან ტურნირზე ჯერჯერობით კარგად ჩოგნაობს ქართველი სოფო შაფათავა. სოფო თავიდანვე ძირითად ბადეში იყო განთესილი და გუშინ ტურნირის პირველ წრეში ბელორუსი ვიქტორია იემიალიანოვა 6:3, 6:1 იოლად დაამარცხა.

უკრაინული ჩოგნაობის მეორე წრეში სოფო შაფათავა მასპინძელი ოლია ანტონიჩუკს შეხვდება და თუ უკრაინელსაც მოუგო, მერვედფინალში გავა.

სამწუხაროდ, ძირითად ბადეში პირველივე წრეში დაასრულა თამაში მეორე ქართველმა ოქსანა კალაშნიკოვამ. არადა იქამდე კალაშნიკოვამ საკვალიფიკაციო ეტაპზე სამი მატჩი მოიგო, თითქოს აწყვეტილიც ჰქონდა, მაგრამ როგორც ვთქვათ, ძირითად ბადეში პირველივე მატჩი სერბ ანა ტიმოტიჩთან 3:6, 4:6 წააგო და ტურნირს გამოეთიშა. თუმცა ესეც პირობითია, რაკი კალაშნიკოვა რუმინელი გაბრიელა ბუზარნესკუსთან ერთად წყვილებშიც თამაშობს და ტურნირზე მე-2 ნომრად განთესილები, უკრაინელებს ნასტია ავდეენკოსა და ანა ტეპლაკოვას შეხვდებიან.

სოფო შაფათავა და მისმა მეწყვილემ რუსმა ნადია ქირკოვამ კი უკრაინელ დებ კიჩენოკებთან 4:6, 3:6 წააგეს.

**ბაჩო სვანიძე**

## თბილისი. კოკა-კოლას თასი. კაცები საპრიზო 15 000 დოლარი

### მეორე წრე

**მატეო მარაი** (1, იტალია) — ვადიმ ალექსეენკო (უკრაინა) 6:0 6:1
**ლაზარე კუხალაშვილი** (საქართველო) — ჰარიტან სოფიანი (სომხეთი) 6:4 6:1
**დენის მოჩანოვი** (4, უკრაინა) — ნოდარ ითონიშვილი (საქართველო)
ითონიშვილმა თამაში შეწყვიტა
**ვიშნუ ვარდანი** (ინდოეთი) — ფუ ჰან ჰამი (5, სამხრეთ კორეა) 6:3 6:3
**სიარეი ბეტაუ** (8, ბელარუსია) — ანდრემირ კარანაშევი (რუსეთი) 6:4 4:6 7:6
**დენის პავლოვსი** (3, ლატვია) — ვაჟა აზაკოვი (უზბეკეთი) 7:5 6:2
**შარლ როშე** (საფრანგეთი) — ბექა ბუჩუკური (საქართველო) 6:0 6:0
**დევიდ სავიჩი** (2, სერბეთი) — ჰოვანეს დავთიანი (სომხეთი) 6:2 6:1

# უკანასკნელი იმედის კუხალაშვილი

**გუშინ** ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე „კოკა-კოლას თასის" მეორე წრის მატჩები ჩამთავრდა.

ქართველებიდან მეოთხედფინალს მხოლოდ ლაზარე კუხალაშვილმა უწია. მან დაძაბულ შეხვედრაში სომეხი ჰარიტან სოფიანი დაამარცხა. ლაზარეს მეტოქის დასაჯაბნად ორი სეტი დასჭირდა. მეოთხედფინალში კუხალაშვილი ტურნირის პირველ ნომერ იტალიელ მატეო მარაის შეხვდება. მარაი კი ამბობს, „პლეხანოვურ" თიხნარს ვერ შევეჩვიეო, მაგრამ მაინც მოუგო უკრაინელ ვადიმ ალექსეენკოს, თანაც საკმაოდ ადვილად. შეგახსენებთ, რომ ერთი კვირის წინ მარაიმ თბილისის სათიხნარო ტურნირი მოიგო.

მე-4 ნომერმა უკრაინელმა მოლჩანოვმა კი უშრომელი პური ჭამა. მისი მეტოქე ნოდარ ითონიშვილი კორტზე გამოცხადდა, მაგრამ ერთიორი მოქნევის შემდეგ ზურგის ტრავმამ აღარ გაუშვა სათამაშოდ.

კიდევ ერთი ქართველი მჩოგნე ბექა ბუჩუკური სასტიკად განადგურდა მე-7 ნომრად განთესილ ფრანგ შარლ როშესთან. ბექა ბევრს ეწვალა, მაგრამ ორ სეტში ერთი გეიმიც კი ვერ გამოგლიჯა მოწინააღმდეგეს.

მეოთხედფინალში გავიდა გასული ტურნირის ფინალისტი სერბი დევიდ სავიჩიც. იგი მომდევნო მატჩს შარლ როშესთან გამართავს.

**ზურაბ მიგრიაული**



ლაზარე კუხალაშვილი

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# როდიკს ოლიმპიადა არ აინტერესებს


ენდი როდიკი

კარგი დებიუტი გამოუვიდა მოქმედ ჩემპიონ ნოვაკ ჯოკოვიჩს, რომელმაც ფრენკ დანსევიჩის მიჩოგვნით მასპინძლები ფრიად გაანაწყენა. ძალიან უიღბლო უიმბლდონის შემდეგ ახალგაზრდა სერბისთვის აუცილებელია ჩოგბურთის მოყვარულთა თვალში რეაბილიტაცია, რასაც ნოვაკი სწორედ ტორონტოში გეგმავს. გუშინ კი ბალკანელს მხოლოდ ბოლოსკენ გაუჭირდასავით, როცა ცოტა მოეშვა და მატჩპოინტი გაუშვა ხელიდან, თუმც უკვე მომდევნო გეიმში იყოჩალა და დანსევიჩი მაინც დაითხოვა ტურნირიდან.

სხვა მატჩებიდან ტომი ჰაასის გამარჯვება გამოეყოთ, რომელმაც დამაჯერებლად დააჩოქა ვეტერანი კარლოს მოია. გერმანელმა უნაკლოდ დაიწყო შეხვედრა და პირველი შეცდომა მხოლოდ მეხუთე გეიმში დაუშვა. აქედან მთლად ასე იდეალურად აღარ გაუგრძელებია, მაგრამ ჰაასმა მაინც არ გაუშვა უპირატესობა ხელიდან და მოია სახლის გზას გაუყენა.

მასტერსის პარალელურად ქალთა ორი ტურნირი იმართება ლოს ანჯელესსა და სლოვენიურ პორტოროზში. ევროპაში არცთუ ძლიერი შემადგენლობაა თავმოყრილი და ამიტომ აქაური ამბებით დიდ ხანს თავს არც შეგაწყენთ. ერთადერთი კაროლინ ვოზნიაკის გამარჯვებას გამოვყოფთ — დანიელმა მასპინძელი ანდრეა კლეპაჩი დააშამათა.

მეტი საინტერესო მოხდა კალიფორნიაში, თუმც უმთავრესი ახალი ამბავი კორტს მიღმა დაფიქსირდა. რამდენიმე დღის წინ სტენფორდის ნახევარფინალში სერენა უილიამსის მიერ მიღებული ტრავმა იმაზე სერიოზული გამოდგა, ვიდრე ამას თავად ჩოგბურთელი ელოდა. უმცროსი შავდა კარგა ხანს ამშვიდებდა ყველას (ეტყობა საკუთარ თავსაც) — არაფერი სერიოზული არ მომხდარა და ლოს ანჯელესში თამაშსაც კი შევძლებო. თუმც აგერ დაზიანებულმა მუხლმა სერენას არ მისცა კორტზე გასვლის საშუალება და მანაც მეორე წრის საგზური ჩეხ პეტრა კვიტოვას დაუთმო.

ეს საკმაოდ საგანგაშო ინფორმაციაა ამერიკული ჩოგბურთის მალალჩინოსანთათვის. თითქოს როდიკის სიჯიუტე არ ეყოფოდათ, ტრავმების გამო იანკებმა შესაძლოა ოლიმპიადაზე ბობოლა ქალებიც მოისაკლისონ — შეგახსენებთ, რომ ამჟამად სერენას გარდა ლაზარეთში იმყოფებიან უფროსი ვინუს უილიამსი და ლინდსი დევენპორტი და შეძლებენ თუ არა ისინი დროულად ჯანზე მოსვლას, ზუსტად ვერავინ ამბობს. აღარაფერს ვამბობთ მოასწრებენ თუ არა ფორმაში ჩადგომას.

კორტზე მომხდარიდან კი დანიელა ჰანტუხოვას მიერ ჩატარებული მორიგი უკბილო შეხვედრა აღვნიშნოთ. სლოვაკ ლამაზმანს არა და არ დაადგა საშველი — ძველებურად ვერაფრით ათამაშდა და ამიტომ უკვე წაგებათა გრძელი სერია დაუგროვდა. ამჯერად დანიელა ბელარუსმა ოლგა გოვორცოვამ დაჯაბნა.

**კაცები**

მასტერსი. ტორონტო. კანადა. პარდი საპრიზო 2 615 000 დოლარი

**პირველი წრე**

**მარინ ჩილიჩი** (ხორვატია) — ლუკაშ დლუჰი (ჩეხეთი) 6:3 4:6 6:3; **ტომი ჰაასი** (გერმანია) — კარლოს მოია (ესპანეთი) 6:3 6:2; **ჟილ სიმონი** (საფრანგეთი) — დონალდ იანგი (აშშ) 6:1 6:3; **ტომაშ ბერდიხი** (16, ჩეხეთი) — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 6:3 6:1; **ჯეს ლევაინი** (აშშ) — პიტერ პოლანსკი (კანადა) 6:2 6:4; **ტომას იოჰანსონი** (შვედეთი) — ანდრეი გოლუბევი (რუსეთი) 7:6 6:1; **რობინ სოდერლინგი** (შვედეთი) — გილერმო კანასი (არგენტინა) 7:5 6:1; **იგორ ანდრეევი** (რუსეთი) — გაელ მონფილზი (საფრანგეთი) 7:6 7:6; **ფერნანდო ვერდასკო** (13, ესპანეთი) — ტომაზ ბელუჩი (ბრაზილია) 1:6 6:3 6:2; **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:3 3:6 6:0; **ალექსანდრ კუდრიავცევი** (რუსეთი) — ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) 6:2 7:6; **დმიტრი ტურსუნოვი** (რუსეთი) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 6:3 6:4

**მეორე წრე**

**ენდი როდიკი** (6, აშშ) — ნიკოლა მაჰუ (საფრანგეთი) 6:1 6:7 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი) — ფრენკ დანსევიჩი (კანადა) 6:4 6:4

**ქალები**

ლოს ანჯელესი. აშშ. პარდი საპრიზო 600 000 დოლარი

**პირველი წრე**

**სანია მირზა** (16, ინდოეთი) — ევა ჰრდინოვა (ჩეხეთი) 6:3 6:4; **ნადია პეტროვა** (9, რუსეთი) — ალინა ჟიდკოვა (რუსეთი) 6:0 6:4; **შუაი პენგი** (ჩინეთი) — ჯულია დიტი (აშშ) 6:4 6:2; **რეგინა კულიკოვა** (რუსეთი) — ელენა ვესნინა (რუსეთი) 6:4 4:6 6:2; **ალა კუდრიავცევა** (რუსეთი) — ანასტასია როდიონოვა (რუსეთი) 7:5 3:6 6:3; **აიკგულ ამანმურადოვა** (უზბეკეთი) — ჯამეა ჯექსონი (აშშ) 6:2 6:2; **ფლავია პენეტა** (10, იტალია) — ალექსანდრა ვოზნიაკი (კანადა) 6:1 6:0; **დომინიკა ციბულკოვა** (15, სლოვაკეთი) — მარიანა ნიკულესკუ (რუმინეთი) 6:4 6:3; **მენგ იუანი** (ჩინეთი) — კატერინა ბონდარენკო (უკრაინა) 2:6 7:6 6:4; **ვანია კინგი** (აშშ) — ანჯელა ჰეინსი (აშშ) 6:3 6:3; **აი სუგიამა** (იაპონია) — საბინე ლისიცკი (გერმანია) 6:4 6:4; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (11, ჩეხეთი) — აიუმი მორიტა (იაპონია) 6:7 6:3 6:1; **სტეფანი დიუბუა** (კანადა) — ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) 6:2 6:3

**მეორე წრე**

**ოლგა გოვორცოვა** ბელარუსი) — დანიელა ჰანტუხოვა (6, სლოვაკეთი) 6:2 6:4; **ანა ჩაკვეტაძე** (3, რუსეთი) — მარტა დომაჩოვსკა პოლონეთი) 6:1 6:1

**ქალები**

პორტოროზი. სლოვენია. პარდი საპრიზო 145 000 დოლარი

**პირველი წრე**

**კაროლინ ვოზნიაკი** (3, დანია) — ანდრეა კლეპაჩი (სლოვენია) 7:5 6:0; **ვერა დუშევინა** (8, რუსეთი) — ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:3 6:3; **კეტი ობრაიენი** (ბრიტანეთი) — ცვეტანა პირონკოვა (ბულგარეთი) 7:6 4:6 6:2; **ანაბელ მედინა-გარიგესი** (4, ესპანეთი) — ეკატერინა მაკაროვა (რუსეთი) 6:1 6:3; **პეტრა მარტიჩი** (ხორვატია) — ანგელიკ კერბერი (გერმანია) 7:5 6:2; **კლარა ზაკოპალოვა** (6, ჩეხეთი) — კარლა სუარეს-ნავარო (ესპანეთი) 6:4 6:4

მიუხედავად იმისა, რომ ოლიმპიადის დაწყებამდე სულ რაღაც ორი კვირა რჩება, თანამედროვე ჩოგბურთის ბობოლებმა მაინც არ ისურვეს ჩრდილო ამერიკული მასტერსების გამოტოვება და სწორედ ამიტომ ტორონტოში მთელი ელიტაა წარმოდგენილი, რაც ამ კვირაში არაერთი საინტერესო თამაშის ხილვის შანსს გვაძლევს.

თუმც ტურნირის მიმოხილვა მაინც იმ მეჩოგნით უნდა დავიწყოთ, რომელიც პეკინში თამაშს არ გეგმავს. საუბარი აშშ-ს ნომერ პირველ მეჩოგნე ენდი როდიკზე გვაქვს — ამ ბიჭმა ჯერ კიდევ გაზაფხულზე განაცხადა, ოლიმპიადაზე თამაშის სურვილით რომ არ იწვოდა. ენდი-ბიჭის თქმით, მისთვის გაცილებით მნიშვნელოვანი მშობლიური აშშ-ს ღია პირველობა და მისთვის მზადება ყოფილა, რაშიც აზიაში გამგზავრების შემთხვევაში ხელი შეეშლებოდა. სწორედ ამიტომ როდიკმა ოთხწლეულის უმთავრეს სპორტული მოვლენა უგულებელყო და სახლში დარჩენა ამჯობინა, რომ აგვისტოს მიწურულს „ფლეშინ მედოუზის" კორტებზე თავი ისახელოს.

ჩვენში დარჩეს და მისი გუშინდელი თამაშიდან გამომდინარე, როდიკს მართლაც ძალიან სჭირდება ხეირიანი მოსამზადებელი პერიოდის გავლა, რადგანაც დღეისთვის საკმაოდ უნიათოდ ჩოგნაობს. ყოველი შემთხვევისთვის, ამერიკელი მართლაც ძალიან უკბილოდ გამოიყურებოდა ნიკოლა მაჰუსთან შეხვედრაში და არცთუ მაღალი დონის ფრანგთან მაგრადაც გაწვალდა. ეგ კი არა, გალმა სეტიც წაართვა, მაგრამ როდიკმა გადამწყვეტ პარტიაში მოახერხა საკუთარი ყუმბარმტყორცნის ამუშავება და მესამე წრეს დიდი წვალებით, მაგრამ მაინც უწია.

**კახა ლომჯაშვილი**



## 95-ე ტურ დე ფრანსი. 5-27 ივლისი


კარლოს სასტრე

# კარლოს პირველი

**ალეხანდრო ვალვერდე,** შტეფან შუმახერი, კიმ კირხენი, კედელ ევანსი, ფრენკ შლეკი და აი, კარლოს სასტრე — ეს ის ხალხია, ვისაც მიმდინარე „ტურ დე ფრანსზე" ლიდერის ყვითელი მაისურა ეცვა.

ახლა, როდესაც ალპები გადავლილია, ლიდერი სასტრეა, უნიკალური, ზემძლავრი გუნდის, დანიური CSC-ის ერთერთი და ალბათ უმთავრესი კაპიტანი.

CSC-იმ გუშინაც ფანტასტიკურად იმუშავა და როდესაც ყველანი ფრენკ შლეკისგან ელოდნენ იერიშს, ბოლო, ალპ დუეზის აღმართის დასაწყისში სასტრემ შეუტია და თორმეტკილომეტრიან ციცაბო გზაზე ორ წუთზე მეტი მოუგო მდევრებს.

გალიბიერი, დე ლა კრუა დე ფერი, ალპ დუეზი — გუშინ პელოტონმა სამი უმაღლესი კატეგორიის მწვერვალი დალაშქრა, ამით მთები, ფაქტობრივად, დასრულდა და ბურუსი კი მაინც არ გაიფანტა. დიახ, სასტრე ლიდერია და მეორე ადგილზე მყოფ თანაგუნდელს, ძველ ლიდერ ფრენკ შლეკს წუთსა და 24 წამს უგებს, მაგრამ კიდევ 10 წამით უკან კედელ ევანსია და ამ უკანასკნელს ნამდვილად ძალუძს, შაბათს გასამართ 53-კილომეტრიან ინდივიდუალურ რბოლაში წუთნახევარზე მეტი რომ მოუგოს ესპანელს.

უფროს შლეკსა და ევანსს შორის კი კვლავაც ავსტრიელი ბერნჰარდ კოლია, ვინაც ინდივიდუალური სვლით დიდად არ გამოირჩევა და აქედან გამომდინარე, ნაკლებად, სასტრეს პოზიციებს რომ დაემუქროს, მაგრამ ამ, აქამდე უცნობმა მრბოლმა პრაქტიკულად გაინაღდა საუკეთესო მთიელისთვის განკუთვნილი წითელწინწკლებიანი მაისურა და ეს უკვე დიდი წარმატებაა.

შეიძლება ითქვას, რომ უმცროსმა, ენდი შლეკმაც, ფაქტობრივად დაიბევა საუკეთესო ახალგაზრდა მრბოლისთვის განკუთვნილი თეთრი მაისურა. ენდიმ გუშინაც მაგრად იმუშავა თავისი გუნდის წარმატებისთვის და ბოლო კილომეტრზე კი სამუელ სანჩესთან დავაში ამ ურთულეს ეტაპზე საპატიო მესამე ადგილი დაიკავა.

მაშ, სასტრე, უფროსი შლეკი, კოლი, ევანსი და მეხუთეზე კი ლიდერთან 2 წუთისა და 39 წამის ჩამორჩენით, რუსი დენის მენშოვია. საკმაოდ დიდი სხვაობაა, მაგრამ მენშოვს ალბათ ის უფრო აწუხებს, რომ ევანსთან წუთზე მეტს აგებს და საეჭვოა, ამხელა ჩამორჩენას რამე მოუხერხოს.

რუსის უკან ამერიკელი კრისტიან ვანდეველდე (+4.41) და ალეხანდრო ვალვერდე (+5.35) მოდიან. ვალვერდემ ალპ დუეზის აღმართში არაერთხელ სცადა იერიშის წამოწყება, მაგრამ შლეკებმა და ევანსმა არ დაანებეს და ამ ესპანელის საჩემპიონო ოცნებებსაც აქ დაესვა საბოლოო წერტილი.

დღეს „ტურზე" ბოლო აღმართები იქნება, ოღონდაც ოდენ მესამე და მეორე კატეგორიის სირთულის და ძნელად, იქ რამე შეიცვალოს. ხვალისთვისაც იგივე პროგნოზია და ზეგ კი 53-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლა ყველა კითხვას პასუხს გასცემს. მთავარი კითხვა კი, ალბათ ასეთია — სასტრე, თუ ევანსი?

**მე-17 ეტაპი. ემბრუნი — ალპ დუეზი. 211 კმ**

| | |
|---|---|
| 1. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | 6სთ 07წთ 58წმ |
| 2. სამუელ სანჩესი (ესპანეთი, „ეუსკალტელი") | +2წთ 3წმ |
| 3. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | +2.03 |
| 4. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაის დეპარნი") | +2.13 |
| 5. ფრენკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | +2.13 |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | 74სთ 39წთ 03წმ |
| 2. ფრენკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | +1წთ 24წმ |
| 3. ბერნჰარდ კოლი (ავსტრია, „გეროლშტაინერი") | +1.33 |
| 4. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო") | +1.34 |
| 5. დენის მენშოვი (რუსეთი, „რაბობანკი") | +2.39 |

# პაუელი გამოცოცხლდა
## ოლსონი კი უოლიმპიადოდ რჩება



**სამშაბათს** შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში მთელი გალაქტიკა შეიყარა. ჯერ მარტო სახელებს გადახედეთ — მესერეტ დეფარი, დეირონ რობლესი, ჯერემი უორინერი, სანია რიჩარდსი, ნაიდე გომეში, ელენა ისინბაევა, ბლანკა ვლასიჩი, კრეიგ მოტრამი, ანდრეას ტორკილდსენი, შტეფან ჰოლმი, კრისტიან ოლსონი და, რაღა თქმა უნდა, ორი იამაიკელი ფეხმალი ჰეპარდი — უსაინ ბოლტი და ასაფა პაუელი.

ესენი ყველა ჩვენი პლანეტის უძლიერესი მძლეოსნები არიან — ვინ მსოფლიოს ჩემპიონია, ვინ ოლიმპიური ჩემპიონი, ვინ რეკორდსმენი... ჩამოთვლილ მაღალ ტიტულებიდან ზოგიერთი უკლებლივ ყველას ფლობს. მოკლედ, სტოკჰოლმში დიდი „მიდი-მოვდივარ“ გახურდა, მთავარ ამბად კი ყველას მაინც სპორტის დედოფლის ორი მალემსრბოლის — პაუელისა და ბოლტის 100-მეტრიანი გაჯიბრება გაუხდა მოსაყოლად.

პაუელმა გაიმარჯვა, ბოლოს და ბოლოს. ჯერ კიდევ 12 თვის წინ მსოფლიოს გაუსაჩივრებლად უსწრაფესმა ადამიანმა შარშან ტაისონ გაისთან შეჯიბრში მსოფლიოს ჩემპიონის წოდება რომ დაკარგა, ხოლო წლეულს უსაინ ბოლტს მსოფლიო რეკორდი დაუთმო, მას პეკინის ოქროსთვის სრბოლაში ფავორიტად ბევრიც აღარავინ თვლიდა. თანაც ექსრეკორდსმენს ერთთავად ტრავმა აწუხებდა და თავი რომ დაეზოგა, ბევრ კომერციულ ტურნირზე მოუხდა უარის თქმა. მაგრამ აი, სტოკჰოლმში პაუელი ოთხი წლით უმცროს უსაინ ბოლტს შეეჯიბრა და რეკორდის დაკარგვით და მერე იამაიკის ჩემპიონატზე წაგებით შელახული თავმოყვარეობა ნაწილობრივ მაინც აღიდგინა.

თავდაუზოგავი იყო იამაიკელთა შეჯიბრი, არც ერთს არ შეუნახავს რამე სამომავლოდ, ორივე ბოლომდე დაიხარჯა და მართალია, მათი შედეგები ვერ იყო ისეთი შთამბეჭდავი, როგორიც მათივე პირადი რეკორდები, მაგრამ ათასობით შვედმა მაყურებელმა მაინც დიდი სიამოვნება მიიღო უსწრაფესი ბიჭების შეჯიბრის ცქერით. პაუელმა ბოლოსდა გაასწრო ბოლტს, თუმც კლასიკურ გასწრებაზე არაა საუბარი. მან ფინიში 9,88 წამში გადაკვეთა, 0,01 წამით ადრე, ვიდრე ბოლტმა, მაგრამ ცხადია, გამარჯვებისთვის ესეც ეყო.

„ბედნიერი ვარ, რომ აქ ჩამოვედი და ეს ტურნირიც ბევრ სხვასავით არ გადავდე — ამბობდა პაუელი ფინიშსშემდგომ — იმედია, უიღბლობა წარსულში დავტოვე და ჩემი სხეული, სულ ცოტა, ერთ თვეს მაინც მაცდის უმაღლეს დონეზე სირბილს. ახლა თავს არ ვუჩივი, კარგი სტარტი მქონდა და სიჩქარე ბოლომდე მიმყვა, რამაც ბოლო 30 მეტრზე აჩქარების საშუალება მომცა. ვნახოთ, ოლიმპიადაზე რა როგორ იქნება.“

ახლა კი სხვებზეც ვთქვათ თითო აბზაცი — ფანტასტიკურად ირბინა ეთიოპიელმა სტაიერმა ქალმა მესერეტ დეფარმა, ვინც მართალია, უკვე აღარ გახლავთ მსოფლიო რეკორდსმენი, — ორიოდ კვირის წინ არანაკლებ სახელგანთქმულმა თანამემამულე ტირუნეშ დიბაბამ ჩამოართვა — მაგრამ დეფარი ახლა სულ ახლო იყო მის დაბრუნებასთან და ყველა დროის მეორე შედეგიც აჩვენა 5-კილომეტრიან გარბენში, 14 წუთსა და 11,15 წამში დაძლია ეს დისტანცია. თუმცა ეს პაწია, მაგრამ ნედლი ტყავივით გამძლე ეთიოპი ქალი სირბილის შემდეგ მაინც უკმაყოფილობდა — მხარდაჭერა არ მაკლდა და კარგადაც ვირბინე, მაგრამ მით უფრო დიდია ჩემი იმედგაცრუება, რადგან მსოფლიო რეკორდი ხელიდან გამისხლტაო.

არანაკლებ ფანტასტიკური იყო კუბელი თარჯმორბენალი დეირონ რობლესი, რომელიც წლეულს ისე ფარავს თარჯებით მოჭედილ 110 მეტრს, რომ მიწას ფეხს არ აკარებს. ჩინელ ლიუ სიანს ხომ წაართვა რეკორდი, როცა ჩეხურ ოსტრავაში 12,87 წამში ირბინა, ერთი კვირის წინ 12,88 შედეგი აჩვენა, ახლა კი სტოკჰოლმში, წლეულს უკვე მესამედ ჩამოსცდა 13-წამიან გროსმაისტერულ ზღვარს და 12,91-ით მოიწონა თავი. შესადარებლად ვთქვათ, რომ მისი უახლოესი მდევარი, წლეულს ამერიკელთაგან საუკეთესო დევიდ ოლივერი მას 0,13 წამით ჩამორჩა.

მაგრამ ამერიკელებსაც ჰყავთ მეგავარსკვლავები, ვისითაც თავს მოიწონებენ და შვედეთში არაერთმა მათგანმა ინავარდა. 400 მეტრზე შეჯიბრი ქალებშიც და კაცებშიც შტატების წარმომადგენლებმა მოიგეს. კაცთა შორის საუკეთესოს და ყველაფრის ჩემპიონ ჯერემი უორინერს ახლა გვერდით არ ჰყავდა წლეულს უმთავრეს კონკურენტად ქცეული თანამემამულე ლაშონ მერიტი და მანაც 400 მეტრზე გამარჯვებულის ბედი პირველ 150 მეტრში გადაწყვიტა, ოღონდ მერე ტემპი დააგდო და 44,29-წამიანი შედეგიც მთლად დიდებული ვერ გამოუვიდა.

ალბათ კონკურენტთა უგერგილობის გამო, არც სანია რიჩარდსს უჩვენებია ზღაპრული დრო — 50,38 წამშიც „მშვიდად“ მოიგო.

მსოფლიოს და ევროპის ჭერქვეშა პირველობების პორტუგალიელმა ჩემპიონმა, სიგრძეზე მხტომელმა ქალმა ნაიდე გომეშმა საკადრისად იხტუნავა და 7 მეტრსაც გადააცილა სხეული — 7,04 შედეგით ის ოლიმპიადაზეც თავაწეული წავა.

ლენა ისინბაევამ კვლავ იზარმაცა, თანაც მას ხომ ისევ არ უწევდა კონკურენციას წელმტკივანი ამერიკელი ჯენ სტუჩინსკი. ყველაფრის ჩემპიონი რუსი 4,85-მეტრიანი ნახტომით დაკმაყოფილდა, თუმც ამ შედეგითაც გააუმჯობესა სტადიონის რეკორდი და შვედებმა ამისთვის ერთკარატიანი, პაწაწინა ბრილიანტიც მიართვეს, ისევე, როგორც მესერეტ დეფარს.

ზომიერების გრძნობამ მთლად ღრუბლებში არ გაუშვა სიმაღლეზე მხტომელი ბლანკა ვლასიჩიც. ახალგაზრდა სუპერხორვატთან გაჯიბრება ბოლოს და ბოლოს გაბედა ათენის ოლიმპიადინის ჩემპიონმა, რუსმა ელენა სლესარენკომ, ვინც 2 მეტრი დაძლია, 2,02 კი — ვეღარ. ჰოდა, ვლასიჩმაც 2,02 აიღო, ზედიზედ 34-ე (!) გამარჯვება ჩაითვალა და უფრო მაღლაფრენა აღარც უცდია. აქ მას პირველად წამოსცდა ასეთი სიტყვები — დავიღალე და დასვენება მინდაო. 24 წლის ხორვატი ქალი-კალია აქამდე დიდი ენთუზიაზმისთ ხტუნავდა და ევროპაში სულ უმნიშვნელო ტურნირსაც არ ტოვებდა.

ავსტრალიელმა სტაიერმა კრეიგ მოტრამმა 3-კილომეტრიან დისტანციაზე თვით კენიელებს აჯობა და 7.37,73 შედეგით იპირველა.

ნორვეგიელმა შუბმტყორცნმა ანდრეას ტორკილდსენმა 87,56-მეტრიანი ნატყორცნით კომფორტულად მოიგო.

შვედების ჯილამ, სიმაღლეზე მხტომელმა კაცმა შტეფან ჰოლმმა თანამემამულეებს გული არ დასწყვიტა და მოიგო, თუმც არცთუ გადასარევი შედეგით, 2,30 მეტრით, მერე კი აღიარა, თავს მსუბუქად ვერ ვგრძნობდი და ძლიერ გამიმართლაო.

მაგრამ კიდევ ერთმა შვედმა დიდვარსკვლავმა, სამხტომელმა კრისტიან ოლსონმა კი, გულში ტკივილი ჩაუბუდა მაყურებელს — ტრავმებით გაწამებულმა ათენის ჩემპიონმა ვერც ამ ჯერზე შეძლო სრულფასოვნად ასპარეზობა. ისიც თქვა, უკვე გადავწყვიტე, რომ პეკინში ვერ დავიცავ ოლიმპიურ ტიტულსო და სევდიანი ტაშით დატოვა სარბიელი.

**ვანო ქობიაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ოლიმპიური დუჟინი

**ოლიმპიადისთვის** საკალათბურთო ნაკრებების შერჩევა დასრულებულია. 12 მონაწილე გუნდი ცნობილია, რომელთაგანაც ნახევარი ევროპელია და გუნდები პეკინში ორ ჯგუფში გადანაწილდნენ. A ჯგუფში ითამაშებენ არგენტინა, ხორვატია, ლიტვა, რუსეთი, ირანი და ავსტრალია; B ჯგუფში კი თავი მოიყარეს აშშ-ის, გერმანიის, საბერძნეთის, ესპანეთის, ჩინეთისა და ანგოლის ეროვნულმა ნაკრებებმა.

პეკინისკენ მიმავალ მატარებელს სულ უკანასკნელი შეახტა დირკ ნოვიცკის გერმანია, რომელმაც ათენში გამართული 12-გუნდიან ტურნირში მესამე ადგილისთვის მატჩი პუერტო რიკოს მოუგო და ორ ფინალისტთან, საბერძნეთსა და ხორვატიასთან ერთად მოიპოვა პეკინის საგზური. იმ თამაშში გერმანია, როგორც ყოველთვის, დირკ ნოვიცკიმ იხსნა, რომელმაც 32 ქულა გააკეთა. გერმანელებს გაუმართლათ, ტურნირის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე გაგერმანელებულმა, კიდევ ერთმა ნბა-ელმა ვარსკვლავმა, „კლიპერსის“ ქერა ცენტრმა კრის კამანმა“, ვინც ახალ „თანამემამულეებს“ 10 ქულით და 12 მოხსნით შეაშველა ხელი.

პუერტო რიკოელთაგან საუკეთესო იყო „დალასში“ ნოვიცკის თანაგუნდელი ხუან ხოსე ბორეა, ვინც 18 ქულა კი გააკეთა, მაგრამ საკალათბურთო ტრადიციებით საკმაოდ მდიდარი პუერტო რიკო მაინც ვერ გაიყვანა ოლიმპიადაზე.

რა შანსი ექნება გერმანიას პეკინში? ნოვიცკის გუნდის მწვრთნელი დირკ ბაუერმანი ბევრს არც ითხოვს — „ბევრის მიღწევის შესაძლებლობა არ გვაქვს, ჩვენ იმითაც კმაყოფილები ვართ, რომ ოლიმპიადაზე მოვხვდით, ესე იგი, ელიტაში ვართ. რაც შეეხება მედლებს, ცხადია, ვიბროლებთ, მაგრამ...“

ისე გერმანელებს ჯგუფში სამი ძლიერი (აშშ, საბერძნეთი, ესპანეთი) და ორი სუსტი (ანგოლა, ჩინეთი) მეტოქე ჰყავთ და ამ ორს მოუგებენ, მეოთხე ადგილზე და თუ შესაბამისად, მეოთხედფინალში გასვლის რეალური შანსი ექნებათ.

# იაო წილისყრით უკმაყოფილოა

**პეკინის** ოლიმპიური თამაშების მასპინძლებს კალათბურთში თუ ვინმესი ეიმედებათ, ეს „ჰიუსტონის“ სუპერვარსკვლავი იაო მინია. 226-სანტიმეტრიანმა ცენტრმა ნბა-ს გასული რეგულარული ჩემპიონატის დასკვნითი ნაწილი და პლეი ოფის თამაშები ტრავმის გამო გამოტოვა, მაგრამ ახლა, უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს.

ერთადერთი, რამაც ბოლო დღეებში იაოს გული დაწყვიტა, კალათბურთელთა ოლიმპიური თამაშების წილისყრა იყო, რომელმაც ჩინელებს ჯგუფში მეტოქეებად ამერიკის შეერთებული შტატები, მსოფლიოს ჩემპიონი ესპანეთი, საბერძნეთი, გერმანია და ანგოლა არგუნა.

„ეს უარესია, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო და რასაც წარმოვიდგენდი — განაცხადა იაო მინმა — ყველა მეტოქე უაღრესად ძლიერია, მაგრამ ამით ჩვენი მიზანი, მეოთხედფინალში გასვლა, არ შეცვლილა. ვფიქრობ, ჩვენ შევძლებთ პლეი ოფში გასვლას და მერე ვნახოთ.“

# ლებრონმა ფეხი იტკინა

**სამშაბათს** ლებრონ ჯეიმსმა მთელი ქვეყანა დაზაფრა. ამერიკის საკალათბურთო ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს ვარჯიშზე ფეხი გადაუტრიალდა, მის მოიმედე ამერიკელებს კი გულები გადაუცივდათ.

„დრიმ თიმი“ ანუ „ოცნების გუნდი“, რომელიც 2000 წლის შემდეგ პირველად შეიკრიბა მართლა საოცნებო შემადგენლობით, რიგით საკონტროლო მატჩს ატარებდა ნბა-ს მოთამაშეთა ნაკრებთან, როცა ლებრონ სპარინგ-მეტოქეს, „ოკლაჰომას“ ლიდერსა და გასული სეზონის საუკეთესო ახალბედას კევინ დურანტს გამოედო და ცუდად წაბორძიკდა. დაესივნენ თანაგუნდელებიც და მეტოქეებიც, არიქა, რამე ხომ არ იტკინე ჩვენო იმედოო. თამაში რომ მორჩა ლებრონმა უკომენტაროდ დატოვა დარბაზი, რამაც სრულიადაც არ დაამშვიდა მის ქომაგთა მრავალმილიონიანი არმია.

ლებრონი პარასკევს ლას ვეგასში კანადასთან გასამართი ამხანაგური მატჩის განაცხადში იქნება, ოღონდ არავინ იცის, ითამაშებს თუ არა. ამერიკის ნაკრები მერე მაკაოში მიფრინავს, სადაც კიდევ ორ სპარინგს გამართავს, შემდეგ კიდევ ორჯერ ითამაშებს შანხაიში და 10 აგვისტოს უკვე ოლიმპიადაზე პირველ მატჩს გამართავს მასპინძელ ჩინეთთან.

**ვანო ქობიაშვილი**

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

# ფერარის პირველი გამარჯვება

## პამპასელი ხარის ინგლისური ტრიუმფი



**ხოსე ფროილან გონსალესი**

არგენტინა

დაიბადა 1922 წლის 5 ოქტომბერს რესიფიში

ფორმულა 1-ში გამოდიოდა 1950-1960 წლებში

მსოფლიოს 1954 წლის ვიცე-ჩემპიონი

1951 წლის მესამე პრიზიორი

მოიგო ორი დიდი პრიზი — დიდი ბრიტანეთის 1951, 1954 წლებში.

26 რბოლა, 14 (2+7+5) პოდიუმი, 3 პოულ პოზიცია, 6 უსწრაფესი წრე, 77,64 ქულა

გუნდები: „მასერატი", „ფერარი".

**ფორმულა 1-ის ყველაზე წარმატებულმა გუნდმა, პილოტ-გუნდურ ჩათვლაში 15-15-გზის ტრიუმფატორმა „სკუდერია ფერარიმ" თავისი პირველი დიდი პრიზი მსოფლიოს მეორე ჩემპიონატში, 1951 წლის ივლისში მოიგო. ეს ინგლისში, სილვერსტოუნის ლეგენდარულ ტრასაზე 28 წლის არგენტინელმა ხოსე ფროილან გონსალესმა შეძლო. ბედნიერებისგან სახეგაბრწყინებული ენცო ფერარის რეაქცია ცოტა უცნაური ჩანდა: „ორგვარი გრძნობა მაქვს, სიხარულთან წუხილია შერეული — დღეს თითქოს საკუთარი დედა მოვკალი." დონ ენცოსთვის „ფერარის" პირველ მოგებასთან ერთად, ეს იყო გამარჯვება თავის „ნათლიდედაზე" — სარბოლო გუნდ „ალფა რომეოზე", რომელმაც 30-იან წლებში „გამოზარდა" და გზაზე დააყენა ფერარი და მისი ფირმა**

### დიდთავა მძღოლი

იმაზე, რომ გონსალესი უჩვეულო მრბოლი იყო, აშკარად მიანიშნებს მისი მეტსახელი „პამპასელი ხარი". ხოსემ ის ტრასაზე მძღოლობისა და აგრესიის გამო კი არ მიიღო, არამედ თავისი აღნაგობის წყალობით. ტანდაბალი და ჩაფსკვნილი, რომელიც მართლაც მოზვერს მოგაგონებდათ, დღევანდელი ბოლიდის კოკპიტში ვერც ჩაეტეოდა. მაგრამ ერთი შეხედვით მრისხანე გარეგნობის მიღმა იფარებოდა რბილი და სიკეთით აღსავსე პიროვნება, რომელიც მუდამ მზად იყო, მეგობრების გულისთვის საკუთარი ინტერესები დაეთმო. ადრე მას პეპესაც ეძახდნენ: *„მეტსახელი ყველა მრბოლს აქვს, მეც რამდენიმე მქონდა. მაგალითად, ერთი ჩემი თავის ზომისგან წარმოიშვა — „ილ ტესტონე", რაც ესპანურად დიდთავას ნიშნავს".*

ხოსე სპორტით ბავშვობიდან იყო გატაცებული, უყვარდა ცურვა, მშვენივრად თამაშობდა ფეხბურთს, დაქროდა ველოსიპედით, ხოლო როცა ავტომობილის მართვის უფლება მიიღო, მძღოლად მოეწყო და არგენტინის მტვრიან გზებზე მრავალტონიანი სატვირთო „მონსტრების" გადარეკვა დაიწყო. პარალელურად, ტექნიკას სწავლობდა და რბოლებში მონაწილეობაზე ოცნებობდა, მაგრამ ნახმარი მანქანის ყიდვის საშუალებაც არ ჰქონდა, ამდენად, საკუთარი თავის იმედად უნდა ყოფილიყო. მართლაც, აქაიქ ნაშოვნი ნაწილებით, 1946 წელს „შევროლეს" ძრავიანი სარბოლო მანქანის აწყობა მოახერხა და მალე პატარა გამარჯვებაც მოიპოვა. პირველს კიდევ რამდენიმე მოჰყვა და ამან გზა გაუხსნა ეროვნული ჩემპიონატისკენ, რომელშიც არგენტინის საუკეთესო მრბოლები გამოდიოდნენ. მაშინ მიუჯდა პირველად საქარხნო ბოლიდის საჭეს. ეს იყო მოძველებული „მასერატი", რომლითაც მანამდე მომავალი მსოფლიოს ჩემპიონი ჯუზეპე ფარინა ჯირითობდა.

*„იმ დროს სტარტზე მონტემარის ან კანუტოს ფსევდონიმით გავდიოდი — იხსენებს ხოსე ფროილანი — საქმე ისაა, რომ ბიძაჩემი ხულიო პერესი 1940 წელს ათასმილიან მარათონში რბოლისას დაიღუპა და არ მინდოდა ახლობლებს გაეგოთ, რომ მეც ავტომრბოლი გავხდი".*

მაგრამ გონსალესმა თავისი საიდუმლოს დიდხანს დაფარვა ვერ შეძლო, რაკი მალე არგენტინის ერთ-ერთი საუკეთესო პილოტი გახდა და თავის უახლოეს მეგობართან, 11 წლით უფროს ხუან მანუელ ფანხიოსთან ერთად ჩაირიცხა ეროვნულ გუნდში, რომელიც ავტოსპორტის დიდმა მოყვარულმა, ქვეყნის პრეზიდენტმა ხუან პერონმა ოკეანის იქით გაგზავნა ევროპის „დასაპყრობად".

### ბებერ კონტინენტზე

*„ხუან მანუელს დიდ პატივს ვცემდი. მას „პადრინოს", ნათლიას ვეძახდი, რადგან იგი ჩემი მეჯვარე იყო. ჩვენი მეგობრობა თითქმის ნახევარი საუკუნე გაგრძელდა, ფანხიოს გარდაცვალებამდე. ტრასაზე მეც მასავით სწრაფი ვიყავი, ოღონდ ოდნავ ნაკლებად სტაბილური".*

იქნებ სწორედ ეს „ოდნავ" დააკლდა გონსალესს ევროპაში. ფანხიოს უფრო მეტად გაუმართლა, თავიდანვე იმ დროისთვის საუკეთესო გუნდ „ალფა რომეოში" მოხვდა, ფორმულა 1-ის სადებიუტო, 1950 წლის სეზონში ექვსი რბოლიდან სამი მოიგო და მსოფლიოს ვიცეჩემპიონობაც მოიპოვა. ხოსე ფროილანი სუსტძალოვან „მასერატიში" აღმოჩნდა, რომელმაც 12 პილოტი გამოცადა. ძირითადი „მოთამაშეები" იყვნენ ლუი შირონი, ემანუელ დე გრაფენრიდი და ტაილანდელი პრინცი ბირაბონზ ბარუბან „ბირა" — ისინი თითქმის ყველა რბოლაში მონაწილეობდნენ, დანარჩენებმა მხოლოდ ერთი-ორჯერ გაიჯირითეს. გონსალესიც ორჯერ გავიდა სტარტზე საფრანგეთსა და მონაკოში და ორჯერვე დასაწყისში გამოეთიშა ბრძოლას. ყველაზე კარგი შედეგი პრინც ბირას ჰქონდა, რომელმაც გენერალურ კლასიფიკაციაში ხუთი ქულით მერვე ადგილი დაიკავა.

სეზონთშორის პერიოდში ხოსემ მოძველებული „ფერარი 125" შეიძინა და ზამთრის რბოლებში ისე გამოიჩინა თავი, რომ ენცო ფერარისგან მარანელოში მიწვევის დეპეშა მიიღო. იგი იქ 4,5-ლიტრიანი და 380 ცხენისძალიანი გაძლიერებული ძრავის მქონე „ფერარი 375"-ის საჭეს მიუჯდა და უკვე მესამე რბოლაში საფრანგეთის გრან პრიზე მეორე ადგილი დაიკავა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დისტანციის მხოლოდ ნახევარი გაიარა. ბოქსებში საწვავისთვის შესულ არგენტინელს გუნდის ტექდირექტორმა ნელო უგოლინიმ უბრძანა, მანქანაში ადგილი დაეთმო „ფერარის" ლიდერ ალბერტო ასკარისთვის, რომლის ბოლიდზეც სიჩქარეთა კოლოფი გამოვიდა წყობიდან. ასეთი მონაცვლეობა მაშინ მიღებული იყო და თანაგუნდელებმა საპრიზო ექვსი ქულაც ძმურად გაიყვეს.

სამაგიეროდ, მომდევნო ეტაპი 14 ივლისს „სილვერსტოუნზე" გონსალესის ბენეფისად იქცა, რამაც „სამეფო რბოლების" ისტორიაში მისი სახელი სამუდამოდ უკვდავყო.

### დედის მკვლელი

უკვე პირველივე ვარჯიშზე ხოსემ ბრიტანეთის ავტოდრომის რეკორდი დაამყარა — მანამდე 4649-მეტრიან წრისთვის 100 მილზე მაღალი საშუალო სიჩქარით არავის შემოექროლა. შემდეგ ორსაათიან კვალიფიკაციაში თავიდანვე ხელთ იგდო ლიდერობა და დიდი უპირატესობით მოიპოვა პოულ-პოზიცია. მართალია, რბოლის სტარტზე შეყოვნდა და იტალიელ ფელიჩე ბონეტოს „ალფა რომეო" გაიჭრა წინ, მაგრამ უკვე ერთი წრის შემდეგ ადვილად დაიბრუნა ლიდერობა.

იმ დღეს გონსალესს მხოლოდ ერთი რეალური მეტოქე ჰყავდა — თავისი საუკეთესო მეგობარი ფანხიო. „მაესტრომ" მე-10 წრეზე ხოსეს გვერდის ავლა კი შეძლო, მაგრამ შუა დისტანციაზე „პამპასელმა ხარმა" უპრობლემოდ ჩამოიტოვა ბევრად გამოცდილი თანამემამულე და მალე უპირატესობა წუთამდე გაზარდა. 415-კილომეტრიანი გზის ბოლომდე 15 წრით ადრე იგი ბოქსებში საწვავისთვის შევიდა და კინაღამ ისეთივე ვითარებაში აღმოჩნდა, როგორც ორი კვირის წინ საფრანგეთში. ასკარის ბოლიდზე ისევ აურია სიჩქარეთა კოლოფმა და პიტლაინზე შესვლისას ხოსე უკვე ემშვიდობებოდა თავის მანქანას, მაგრამ ალბერტომ ამჯერად არ მოისურვა თავისი პრივილეგიის გამოყენება და ანიშნა რბოლა გაეგრძელებინა.

გონსალესი ფრთაშესხმული გავარდა თავისი გუნდისა და საკუთარი პირველი გამარჯვებისკენ. „პამპასელმა ხარმა" ფინიშზე უზარმაზარი, 51-წამიანი უპირატესობით მიასწრო მანამდე ორ სეზონში ცხრავე დიდი პრიზის მომგებ „ალფა რომეოს", ხოლო მესამე პრიზიორი თანაფერარელი ლუიჯი ვილორეზი ორი წრით ჩამოიტოვა. ამრიგად, მან დუბლით გაიმარჯვა, 28 წლისა გახდა კვალიფიკაციისა და რბოლის ყველაზე ახალგაზრდა მომგები და ამ რეკორდებს რამდენიმე წელი ფლობდა.

ასე და ამგვარად, ხოსე „ფერარის" „დედის" მკვლელი გახდა, რისთვისაც გაუგონარი პრივილეგია მიიღო — დონ ენცოს კაბინეტში დაუკაკუნებლად შესვლის უფლება, რაც კომენდატორეს არც ერთ მრბოლს არ ღირსებია: *„ჩემთვის ეს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი მომენტი იყო. რბოლის შემდეგ კომენდატორემ ოქროს საათი მაჩუქა. როცა რამდენიმე დღის მერე მარანელოში ჩავედი, მისი კაბინეტის კედელს უკვე ამშვენებდა ამ გამარჯვების ამსახველი დიდი ფოტო".*

### ვიცე-ჩემპიონი

გონსალესი 1951 წელს კიდევ სამჯერ გახდა პრიზიორი და საბოლოოდ მესამე ადგილზე გავიდა ფანხიოსა და ასკარის შემდეგ. და იმის მიუხედავად, რომ ფერარის სამუდამო კეთილგანწყობა დაიმსახურა, მაინც დატოვა გუნდი, რადგან ხუანთან მეგობრობა მისთვის გამარჯვებებზე მეტს ნიშნავდა და ორი სეზონით „მასერატიში" „მაესტროს" პარტნიორი [illegible] და, რომ არ წასულიყო [illegible] ტულისთვისაც გამოეკრა ხელი — ორივე წელს ჩემპიონობა „სკუდერიაში" დარჩენილმა ასკარიმ მოიპოვა. ხოსე კი 1953 წელს მხოლოდ მეექვსე ადგილზე იყო.

მისი საქმეები აშკარად გამოკეთდა, როცა 1954 წელს „ფერარის" დაუბრუნდა. ფანხიო „მერსედესში" გადაბარგდა და რვა რბოლიდან ექვსის მოგებით მეტოქეებს მისხალი შანსიც არ დაუტოვა. გონსალესმა ერთი დიდი პრიზის მოგება შეძლო და თან ისევ სილვერსტოუნში, როცა პირველივე წრეზე ფანხიოს ლიდერობა ჩამოართვა და ფინიშამდე აღარავისთვის დაუთმია. ამას ორი მეორე და ერთი მესამე ადგილი მიამატა და 42 წლის მეგობრის შემდეგ ვიცეჩემპიონობა მოიპოვა ორჯერ ნაკლები ქულებით.

ბრიტანულ ეტაპზე უნიკალური, უფრო კი კურიოზული ფაქტი მოხდა. იმ დროს ქრონომეტრაჟის დონე მეტად დაბალი იყო — შედეგი წამის სიზუსტით ფიქსირდებოდა. ისე გამოვიდა, რომ წრის საუკეთესო დრო — 1 წუთი და 54 წამი — ერთბაშად შვიდმა მრბოლმა აჩვენა, მათ შორის, გონსალესმა. შედეგად ქულა, რომელიც მაშინ უსწრაფესი წრის ავტორს ეკუთვნოდა, შვიდზე გაიყო და თითოეულს 0,14 ქულა ერგო.

ხოსე ფროილანმა იმ წელს კიდევ სამი პრესტიჟული რბოლა მოიგო, რომლებიც ჩემპიონატის ჩათვლაში არ შედიოდა და ლე მანის ლეგენდარული 24-საათიანი მარათონიც. ერთი შეხედვით, ყველაფერი კარგად მიდიოდა, მით უმეტეს, რომ ჯერ 31 წლის იყო. მაგრამ მას შემდეგ, რაც გერმანიაში, „ნიურბურგრინგზე" კვალიფიკაციისას მისი 22 წლის თანამემამულე ონოფრე მარიმონი დაიღუპა, გადაწყვიტა, ევროპაში სარბოლოდ აღარ ჩასულიყო. მართლაც, მას მერე მხოლოდ ოთხ არგენტინულ გრან პრიზე მიიღო მონაწილეობა და სულ რაღაც 26-ეტაპიანი კარიერაც ამით დასრულდა.

პენსიაზე გასულმა გონსალესმა გარაჟებთან დაკავშირებული საკუთარი ავტობიზნესი წამოიწყო.

ერთხელ, 1996 წელს, მოხერებული „ხარი" ბებერ კონტინენტს მაინც ესტუმრა და ინგლისში, გუდვუდის ტრადიციულ „ვარსკვლავთა ფესტივალშიც" გამოვიდა. შემდეგ დადგა მისი პირველი გამარჯვების ნახევარსაუკუნოვანი იუბილე, მაგრამ ასაკმოძალებულმა, 79 წლისამ სილვერსტოუნში ჩასვლა ვერ შეძლო.

**P.S.** „ფერარის" აქტივში სადღეისოდ 206 მოგებული რბოლაა, მეორე შედეგის მქონე „მაკლარენზე" 46-ით მეტი (!)

აქედან მესამედი — 72 დიდი პრიზი მოიპოვა ალისფერი ბოლიდით ხუთგზის ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა. შემდეგ მოდიან ორ-ორგზის ტრიუმფატორები ნიკი ლაუდა — 15 და ალბერტო ასკარი — 13, რუბენს ბარიკელო — 9, ამჟამინდელი ჩემპიონი კიმი რაიკონენი — 8, ფელიპე მასა — 8...

სულ „სკუდერიის" მანქანებით 12 ქვეყნის 36-მა პილოტმა შეძლო თუნდაც ერთი გრან პრის მოგება, მათგან რვა იტალიელია.

**ზია ახალაძე**


მიხეილ კობეშავიძე

# კადეტების ამოცანა: ფინალი და ელიტა

**დღეს** საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ხვალ უნგრეთში დასაწყებ ევროპის ჩემპიონატზე სათამაშოდ გაემგზავრა და გუშინ საამისოდ ღია ვარჯიში და პრესკონფერენციაც მოაწყო.

ჩვენი კადეტები უნგრულ ლებრეცენში ქვედა B დივიზიონში ითამაშებენ და შეეცდებიან ელიტარული დივიზიონის საგზური მოიპოვონ. აქვე ვთქვათ, რომ ელიტარულ საგზურს B დივიზიონის ფინალისტები მოიპოვებენ, რაც ჩვენ კადეტებს ნამდვილად შეუძლიათ.

გუშინვე გაირკვა, რომ ჩვენმა 18-წლამდელებმა რომლებსაც მიხეილ კობეშავიძე და ამროსი ორმოცაძე თავკაცობენ, კაპიტნად ალეკო ძიძიგური აირჩიეს. ალეკო ძიძიგურმა შარშანდელი სეზონი თბილისის „ვითაში" გაატარა. საქართველოს ნაკრების შემადგენლობა კი ასეთია: *ნიკა მეტრეველი (211 სმ), ტარიელ თავართქილაძე (193 სმ), დავით მაისურაძე (204 სმ), ტატო ჩაჩიბაია (200 სმ), ბექა ჩიკვილაძე (195 სმ), ალეკო ძიძიგური (193 სმ), გიორგი ჯღერენაია (206 სმ), აკაკი ლომოური (192 სმ), კონსტანტინე ტომარაძე (197 სმ), გიორგი ნანიტაშვილი (186 სმ), გიორგი შარაბიძე (208 სმ), თორნიკე შენგელია (198 სმ).*

ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონის ქვეჯგუფში ჩვენები მასპინძელ უნგრეთთან, დანიასთან, სლოვაკეთთან, ფინეთთან მოხვდნენ. ჯგუფიდან პლეი ოფში ორი მოწინავე ნაკრები გადის.

გუშინ კი საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებს მწვრთნელმა *მიხეილ კობეშავიძემ* ეს თქვა: „მოსამზადებლად მშვენიერი პირობები გვქონდა და ამ საპასუხისმგებლო ტურნირისთვის მაქსიმალურად მზად ვართ. თითოეულმა მოთამაშემ შესაძლებელზე მეტი უნდა გააკეთოს და ქართული კალათბურთი ასახელოს. კარგი სელექცია გვქონდა და იმედი მაქვს გუნდი მაქსიმალურ შედეგს მიაღწევს. ჩვენი მიზანი ელიტარულ დივიზიონში დაწინაურებაა, საამისოდ ყველანაირად ვეცდებით მინიმუმ ფინალში გავიდეთ. ამას პოტენციალი ნამდვილად გვაქვს, მეტიც საქართველოს ნაკრებს შეუძლია B დივიზიონის ჩემპიონი გახდეს. რაც შეეხებათ კონკურენტებს, ჯგუფში ჩვენი მეტოქეებიდან მასპინძელი უნგრეთის და ფინეთის ნაკრებს გამოვყოფდი. უნგრელებთან საკმაოდ რთული მატჩი გველის, ფინელებს კი ყველა ასაკობრივ ნაკრებში სერიოზული კონტიგენტი ჰყავთ".

ნიკა მეტრეველი: „ძალიან რთული მატჩები გველის. თუმც ჩვენც კარგი გუნდი გვყავს და კარგ ფორმაში ვართ. ვეცდებით მაქსიმუმი გავიღოთ და თანამედროვე კალათბურთი ვითამაშოთ. საკუთარ თავში დარწმუნებული ვართ და ეს ფსიქოლოგიური მდგომარეობა ასეთ ტურნირებზე ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია".

**ბაჩო სვანიძე**

### საქართველოს ნაკრების ჯგუფის განრიგი

25 ივლისი
**დანია — სლოვაკეთი**
**უნგრეთი — ფინეთი**

26 ივლისი
**უნგრეთი — საქართველო**
**ფინეთი — დანია**

27 ივლისი
**სლოვაკეთი — ფინეთი**
**საქართველო — დანია**

28 ივლისი
**უნგრეთი — დანია**
**საქართველო — სლოვაკეთი**

29 ივლისი
**საქართველო — ფინეთი**
**სლოვაკეთი — უნგრეთი**



# ოლიმპიადამ ყაზბეგი გადადო

**24-25 ივლისს** ყაზბეგში საქართველოს ღია ჩემპიონატი უნდა ჩატარებულიყო სამთო გარბენში, მაგრამ მძლეოსნობის ფედერაციამ ეს საქმე სამომავლოდ გადადო. მანამდე კი ჩვენი ლიცენზიანტი მძლეოსნები საპეკინოდ ემზადებიან. ბირთვის მკვრელი მარიამ ქევხიშვილიც და თარჯმრბენი დავით ილარიანიც „დინამოს" სტადიონზე ვარჯიშობენ. გუშინ მძლეოსნობის ფედერაციის გენერალურ მდივანს *მაია აზარაშვილს* რომ შევეხმიანეთ, ორივე ლიცენზიანტის ამბები გამოვკითხეთ.

— მარიამ ქევხიშვილი და დავით ილარიანი, პირადი მწვრთნელების მეთვალყურეობით ეროვნულ სტადიონზე ვარჯიშობენ. ყველა პირობა აქვთ შექმნილი საიმისოდ, რომ ოლიმპიადისთვის სათანადოდ მოემზადონ. მძლეოსნები საქართველოდან 30 ივლისს გაემგზავრებიან და ვარჯიშს პეკინში გააგრძელებენ. 19 აგვისტომდე გამოსვლა არ უწევთ და ამ დრომდე ადაპტაციაც უნდა მოასწრონ. ახლა ნამდვილად კარგ ფორმაში არიან და მეტად შედეგს ველარ გააუმჯობესებენ.

რაც მთავარია მათ ხელი არაფრით არ ეშლებათ, კარგად რომ მოემზადონ. საშუალება აქვთ ვაკის საცურაო აუზზეც იარონ და „დინამოზეც" როგორც ვთქვი კარგი პირობები აქვთ.

— რა იქნება პროგრამა მაქსიმუმი რასაც მათგან პეკინში ელით?

— მარიამ ქევხიშვილი ფინალში თორმეტი ბირთვის მკვრელს შორის თუ მოხვდება, კარგი იქნება. დავით ილარიანი კი ნახევარფინალში. ეს დაახლოებით 36 კაცია. ამ ეტაპზე მათ მეტს ნამდვილად ვერ მოვთხოვთ, მომდევნო ოლიმპიადაზე კი მათგანაც და მწვრთნელისგანაც უფრო უკეთეს შედეგს მოვითხოვთ.



**ლექსო მაისურაძე**



# საქართველოში პედლებს ისევ ატრიალებენ

**ჩვენში** არც ისე წყალწაღებული ყოფილა ველოსპორტი. მართალია ჩვენს მრბოლებს აღარც ველოდრომი დარჩათ და მათი მომკითხავი აქ ერთი-ორი კეთილი კაცილა დარჩა, მაგრამ თავის გასაკეთებელს შეძლებისდაგვარად მაინც აკეთებენ.

მაგალითი გნებავთ? ინებეთ: თურქეთში, ქალაქ კორიოში დასრულებული „მერლანის" ტურიდან საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები დაბრუნდა, სადაც ჩვენებმა გუნდური მეოთხე ადგილი დაიკავეს, ხოლო ოთხი ქართველი მრბოლი საერთო ჩათვლაში ათეულში მოხვდა.

ათეულში მოხვდნენ, მეხუთე ადგილოსანი ამირან სვანიძე, მეექვსე ადგილოსნები დავით ასკურავა და ვიტალი ელიოხინი და მეათეადგილოსანი ზურხან არაბული.

სამწუხაროდ, ათეულს მიღმა დარჩნენ არჩილ დოლიძე და ნოდარ კაცაძე.

როგორც ვთქვით, გუნდურ ჩათვლაში ჩვენმა ნაკრებმა მეოთხე ადგილი დაიკავა. ქართველებს მასპინძელმა თურქებმა, ბულგარელებმა და ანტალიის ნაკრებმა გაასწრეს. სულ კი „მერლანის" ტურზე 14 ქვეყნის ნაკრებებმა ირბოლეს.

13 აგვისტოს უკვე საქართველოს ეროვნული ნაკრები ირანში გაემგზავრება, სადაც ტრადიციული „მირად ტურის" რბოლაა. საქართველოს ნაკრები ხუთი ველომრბოლით ჩავა ირანში. ირანის ტრასებზე ირბოლებენ გიორგი ნადირაძე, არჩილ მახარაშვილი, ნოდარ ყვავაძე, კახაბერ ლოცაურაშვილი და სერგო მურჯიკნელი.

ირანის „მირად ტური" ერთკვირიანია და 20 აგვისტოს დასრულდება.

**ბაჩო სვანიძე**



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge